

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

კერძო სამართლის მიმართულება



სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

მყიდველის მეორადი მოთხოვნების სტრუქტორა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენციის მიხედვით

თემის ავტორი: მარი მარტყოფლიშვილი

საკონტაქტო მონაცემები:

ტელ: 593 313831. ელ.ფოსტა: martkoplshvilimari@gmail.com

თემის ხელმძღვანელი: გიორგი რუსიაშვილი

აბრევიატურები:

ა.შ.- ასე შემდეგ.

ე.ი.- ესე იგი.

ე.წ.- ეგრეთ წოდებული.

იხ.- იხილეთ.

სსკ-საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

გსკ-გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.

ჟურნ.-ჟურნალი.

CISG- საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენცია.

ED.-EDITOR.

EDS. EDITORS.

UNCITRAL- The United Nations Commission on International Trade Law.

NAFTA- North American Free Trade Area.

DCFR- Draft Common of Reference.

The PECL- Principles of European Contract Law

სარჩევი

I თავი შესავალი	5
<u>II თავი</u> მეორადი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობები ვენის კონვენციის მიხედვით	7
<u>1.</u> ვენის კონვენცია	7
<u>1.1.</u> ვენის კონვენციის მოქმედების სფერო	9
<u>2.</u> მეორადი მოთხოვნების უფლების ზოგადი მიმოხილვა ვენის კონვენციის მიხედვით	10
2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობა	12
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხი	12
3. კონვენციის 35 მუხლის მეორე პუნქტი	13
4. ნაკლზე მითითების ვალდებულება	13
<u>5.</u> დამატებითი ვადის დაწესება (Nachfrist)	14
<u>III თავი</u>	15
1. მეორადი მოთხოვნები წარმოშობის წინაპირობები ქართული სამართლის მიხედვით (შედარებითი ანალოგი)	15
1.1. ვალდებულების დარღვევა ქართული სამართლის მიხედვით	17
1.1.1. ნივთობრივი ნაკლი	20
1.1.1.1. ნივთობრივ ნაკლთან გათანაბრებული შემთხვევები	22
<u>1.1.2.</u> უფლებრივი ნაკლი	23
IV თავი	24
<u>1.</u> დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება	24
<u>1.1.</u> დამატებითი შესრულების სახეები	26
<u>1.1.1.</u> ნაკლის გამოსწორება	27
<u>1.1.2.</u> ახალი ნივთის მიწოდება	27
<u>2.</u> ნაკლის გამოსწორებისთვის ხარჯების განაწილება	28

3.	გამყიდველის მიერ დამატებით შესრულებაზე უარის უფლება.....	28
4.	დამატებითი შესრულების მოთხოვნა ვენის კონვენციის მიხედვით	29
V.	თავი. ხელშეკრულებიდან გასვლა	31
1.	ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი მიმოხილვა ვენის კონვენციის მიხედვით	31
1.1.	ხელშეკრულების არსებითი დარღვევა.....	33
1.2.	ხელშეკრულების არსებითი დარღვევა UNIDROIT პრინციპების თანახმად	34
2.	გამოსწორების უფლება კონვენციის 48 მუხლის შესაბამისად	34
3.	ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება და დახასიათება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით	36
3.1.	ხელშეკრულებიდან გასვლის განსხვავება ხელშეკრულების მოშლისგან.....	37
3.2.	ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები	39
3.3.	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ხელშეკრულებიდან გასვლასთან მიმართებით.....	41
3.4.	ვადის დაწესება დამატებითი შესრულებისთვის.	42
3.4.1.	დამატებითი ვადის დაწესების გამომრიცხველი გარემოებები.....	44
3.5.	ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა	44
3.6.	ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები.....	45
3.6.1.	ნატურით დაბრუნება.....	46
3.6.2.	ფულადი ანაზღაურება	47
3.6.3.	ზიანის ანაზღაურება	47
VI	თავი.....	48
1.	ფასის შემცირება.....	48
1.1	ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელების წინაპირობები.....	49
2.	ფასის შემცირება.....	50
3.	ფასის შემცირებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ურთიერთმიმართება	51

VII თავი 1. ზიანის ანაზღაურება	52
1.2. წინაპირობები და შემადგენლობა	54
2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება	56
VIII თავი დასკვნა	57
ბიბლიოგრაფია	57

შესავალი

რომის სამართალში ფუნქციონირებდა პრინციპი „pacta sunt servanda”,¹ რომლის უპირველეს მიზანს ხელშეკრულების შესრულება წარმოადგენდა. აღნიშნული პრინციპის ერთგვარი გამოხატულებაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მხარეს წარმოეშობა მეორადი მოთხოვნის უფლებები. ვალდებულების დარღვევაში მოიაზრება მაგ.: ვალდებულების შეუსრულებლობა, აგრეთვე არასათანადო შესრულება, მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება და, ასევე, არაძირითადი მოვალეობის დარღვევა.²

სამართლებრივ ლიტერატურაში ძირითადად ვხვდებით შემდეგ მეორად მოთხოვნებს: დამატებითი შესრულება, ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება და ზიანის ანაზღაურება.³ მოცემული ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება თითოეული მათგანი, როგორც მყიდველის უფლება, რომელიც წარმოიშობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ამასთან, ნაშრომს პრაქტიკულ სახეს სძენს ის გარემოება, რომ მის ფარგლებში წარმოდგენილია მეორადი მოთხოვნების სტრუქტურა, ე.ი. ის თუ რომელი მათგანია უპირატესად გამოყენებადი, შეიძლება თუ არა მათი კომბინაცია ანდა რა შემთხვევაშია მათი გამოყენება დაუშვებელი.

ვიანიდან, ნაშრომი ეხება სახელშეკრულებო სამართალს, მყიდველის მეორადი მოთხოვნების ჭრილში განხილულია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1980 წლის 11 აპრილის კონვენციის (CISG) შესაბამისი

¹ Zimmermann R., The Law of Obligations, Roman Foundation of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996, 540

² კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 161

³ Zimmermann R., The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives, Oxford, 2012, 110

ნორმები. 1995 წლის 1 სექტემბრიდან მოცემული კონვენციის ხელმოწერა სახელმწიფოთა რიცხვს საქართველოც შეუერთდა,⁴ რაც საჭიროდ ხდის მოცემული აქტის სრულყოფილად შესწავლას.

იქიდან გამომდინარე, რომ UNCITRAL პრინციპებისა და ევროპის სახელმწიფოებო სამართლის პრინციპების (The PECL) ძირითადი ნორმები დაფუძნებულია CISG-ის ნორმებზე⁵ და, ამასთან, ისინი გარკვეულწილად ავსებენ კონვენციის დებულებებს,⁶ ინსტიტუტების სრულყოფილად შესწავლის მიზნით პარალელები იქნება გავლენიანი შესაბამის ნორმებთან.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია, როგორც ზოგადმეცნიერული-ისტორიული, აგრეთვე, სპეციალური- ნორმატიული, დოგმატური და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები.

ისტორიული კვლევის ფარგლებში განხილულია სამართლებრივი ინსტიტუტების წარმოშობის და განვითარების ისტორია.

კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შედარებითსამართლებრივ კვლევის მეთოდებს. კერძოდ, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ანალოგი ინსტიტუტების შესწავლა და შედარება ქართული სამართლის შესაბამის ნორმებთან, ხელს უწყობს სამართლებრივი ინსტიტუტების ღრმად შესწავლას, არსებული პრობლემემატიკის უკეთ გამოკვეთასა და გადაჭრის გზების მოძიებას. ნაშრომის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული სამართლის შესაბამისი ნორმების შედარებას CISG-სა და გერმანული სამართლის ნორმებთან. რიგ შემთხვევებში პარალელებია გავლენიანი აგრეთვე ევროპისა და აზიის სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებთან.

ნორმატიული და დოგმატური კვლევის მეთოდების საშუალებით კი განხორციელდა ცალკეულ ცნებათა შინაარსის დადგენა და მათი სისტემატიზაცია.

ნაშრომი ჯამში შედგება 8 თავისგან. პირველი თავი წარმოდგენს შესავალს. მეორე ნაწილში განხილულია ვენის ნასყიდობის კონვენცია და ვალდებულების დარღვევის არსი. მესამე თავში განხილულია მეორადი მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. მეოთხე თავში მოცემულია დამატებითი

⁴ CISG: list of Contracting States, იხ. <https://www.cisg.law.pace.edu/cisg/countries/cntries-Georgia.html> (14.07.2019)

⁵ Zeller B., The Remedy of Fundamental Breach and the United Convention on the International Sale of Goods (CISG)-A Principle Lacking Certainty? Vindobona Journal of International Commercial law & Arbitration, 2007, 222 იხ. <https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zeller15.html> (14.07.2019)

⁶ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 24, იხ. http://www.library.court.ge/upload/natia_chitashvili.pdf (17.06.2019)

შესრულების მეორადი მოთხოვნა, მისი არსი, წარმოშობის წინაპირობები და შედარებითი ანალიზი სხვა სამართლებრივ სისტემებთან. მეხუთე თავში საუბარია-ხელშეკრულებიდან გასვლაზე. მეექვსე თავში- თვასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებაზე, ხოლო მეშვიდე თავში- მოცემულია ზიანის ანაზღაურების უფლების მოკლე მიმოხილვა. მერვე თავში მოცემულია დასკვნა, სადაც განხილულია, თუ რამდენად მოხდა დასახული მიზნის მიღწევა, ამასთან მოცემულია ნაშრომის შჯამება და ავტორის მოსაზრებები.

II თავი. მეორადი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობები ვენის კონვენციის მიხედვით

1. ვენის კონვენცია

ვენის ნასყიდობის კონვენციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1980 წლის 10 მარტიდან 11 აპრილამდე ორგანიზებული კონფერენცია, რომელიც ჩატარდა ვენაში. სადაც იმყოფებოდა 62 ქვეყანა და 8 საერთაშორისო ორგანიზაცია.⁷ აღნიშნული კონფერენციის დამთავრებისას ერთხმად დამტკიცდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ (1980), მიუხედავად ამისა, იგი ძალაში შევიდა 1.1.1988, როდესაც საჭირო გახდა ეფექტური მოთხოვნების დანესება.

ამჟამად კონვენცია რატიფიცირებულია 84 ქვეყანაში,⁸ რომელთა უმრავლესობას მსოფლიოს სავაჭრო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს ამ სახელმწიფოთა რიგებში არ შედის დიდი ბრიტანეთი.⁹ უფრო დეტალურად, რომ განვიხილოთ, აღნიშნული კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები, დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის, მალტასა და პორტუგალიის გამოკლებით, ასევე NAFTA–ს (North American Free Trade Area) ქვეყნები სამხრეთ ამერიკის რამდენიმე ქვეყანასთან ერთად. კონვენციას ასევე უერთდება ჩინეთი, სინგაპური და ავსტრალია.¹⁰ კონვენცია რატიფიცირებულია მერამე სამყაროს ქვეყნებშიც.

კონვენციის ძირითადი მიზანი იყო ახალი ნორმების შემუშავება მსოფლიო ეკონომიკური და სავაჭრო სივრცის განვითარებისთვის, რომელიც გარკვეულწილად გაითვალისწინებდა სხვადასხვა ხალის, კულტურისა და

⁷ Teija Poikela, Conformity of Goods in the 1980 United Nations Convention of Contracts for the International Sale of Goods, Nordic Journal of Commercial Law issue 2003 #1, 5

⁸ <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/countries/cntries.html> (06.07.2019)

⁹ Michael Bridge, A Law for International Sale of Goods, 37 Hong Kong L.J. 17, 2007, 17

¹⁰ Bridge M.G., The International Sale of Goods third edition, Oxford, Oxford University press, 2013, 466-467

სამართლებრივი სივრცის მდგომარეობას. კონვენციაზე მუშაობისას გამოყენებული იყო ანგლოამერკული, ევროპული სავაჭრო სამართალი და რომის სამართლის გარკვეული კატეგორიები.¹¹

საქართველო იმ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც მოქმედებს აღნიშნული კონვენცია. თუმცა, მოცემულ საერთაშორისო დონის დოკუმენტს საქართველო ჯერ კიდევ მაშინ გაეცნო, როდესაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენდა კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოს.¹² მოგვეხსენებათ, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნორმატიული აქტების იერარქიაში საერთაშორისო კონვენციებს საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდგომ უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია ქვეყნის სხვა ნორმატიულ აქტებთან შედარებით. შესაბამისად, რატიფიცირების შემდგომ უნდა მოხდეს იერარქიაში უფრო დაბლა მდგომი აქტების შესაბამისობა კონვენციასთან. ზოგადად, CISG-ს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ხელმომწერი სახელმწიფოების კანონმდებლობასთან მიმართებით, მაგრამ კონვენციაში არის ნორმები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს, რომ უნდა გადაწყდეს შიდა კანონმდებლობით (CISG(7)) ან აღნიშნული გამომდინარეობს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დათქმულ საფუძველზე.¹³

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2002 წლის რეფორმების (“Schuldrechtsreform”) შემუშავებისას დიდი ყურადღება დაეთმო CISG-ს. გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმების განხორციელების ინიციატორებს სურდათ, რომ დაეკანონებინათ ის რეგულაციები, რომლებსაც სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში განმარტებების სახით ისედაც იყენებდა.¹⁴ შესაბამისად, გერმანიის სასამართლო აქტიურად იყენებს ვენის კონვენციას გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ სასამართლო პრაქტიკაზე. ჩატარებული ძიებიდან გამომდინარე მოხერხდა სულ რამდენიმე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების

¹¹ Bruner c., Dornis T., Ernst W., Gsell B., Hurni C., Koller H., Lauko R., Magnus U., Melis W., Schnyder A.K., Schonle H., Siehr K., Straub R.M., Weber R.H., Kommentar zum UN-Kaufrecht ubereinkommen der Vereinten Nationen uber Vertrage uber den Internationalen Warenkauf (CISG), Springer, 2010, 4

¹² შენგელია ე., ყანდაშვილი ი., საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციის მოქმედება საქართველოში, მართლმსაჯულება N3, 2008, 16

¹³ Teija Poikela, Conformity of Goods in the 1980 United Nations Convention of Contracts for the International Sale of Goods, Nordic Journal of Commercial Law issue 2003 #1, 5

¹⁴ Ferrari F., The CISG and its Impact on National Legal Systems, sellier, European law publishers GmbH, Munich, 2008, 158

მოძიება, სადაც ნახსენები იყო CISG, ისიც იქიდან გამომდინარე, რომ მხარეები იყენებდნენ კონვენციას საჩივრის დასაბუთებისთვის.¹⁵

სამეცნიერო სივრცეში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ვენის კონვენციასთან მიმართებით განიხილება „უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები“ (უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპები), „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ (ევროპული პრინციპები) და ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, განმარტებები და მოდელური წესები-Draft Common of Reference (DCFR). აღნიშნული აქტები „რბილი სამართლის“ კოდიფიკაციებს განეკუთვნება და გარკვეულწილად ავსებენ ვენის კონვენციის მუხლების შინაარსს.¹⁶ შესაბამისად, ქართული კანონმდებლობისა და ვენის კონვენციის შესაბამისი ნორმების განხილვისას, პარალელურად გავაულებთ „რბილი სამართლის“ ნორმებთან.

1.1 ვენის კონვენციის მოქმედების სფერო

ვენის კონვენცია ძირითადად გამოიყენება სახელმწიფოებს შორის არსებული სამართალწარმოებისა და საარბიტრაჟო სამართალწარმოების დროს.¹⁷ იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც:

- ხელშეკრულების ორივე მხარის ოფისი კონვენციის ხელისშემკვრელ სხვადასხვა სახელმწიფოში მდებარეობს.
- ან თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ მათ ურთიერთობაზე გავრცელდეს CISG-ის ნორმები.
- კონვენციიდან არაპირდაპირ ასევე გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია ხელშეკრულების მხარეებს არ წარმოადგენდეს კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები, მაგრამ ისინი მიუთითებენ იმ ქვეყნის სამართალზე, რომელიც კონვენციის ხელშემკვრელია¹⁸ და ამ სახელმწიფოს არ აქვს დათქმა გაკეთებული კონვენციის 95 მუხლზე.¹⁹

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს : 2017 წლის 11 ოქტომბრის N ას-774-723-2017; 2018 წლის 10 ივლისის N ას-660-660-2018 გადაწყვეტილებები;

¹⁶ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 24, იხ. http://www.library.court.ge/upload/natia_chitashvili.pdf (17.06.2019)

¹⁷ Bruner C., Dornis T., Ernst W., Gsell B., Hurni C., Koller H., Lauko R., Magnus U., Melis W., Schnyder A.K., Schonle H., Siehr K., Straub R.M., Weber R.H., Kommentar zum UN-Kaufrecht ubereinkommen der Vereinten Nationen uber Vertrage uber den Internationalen Warenkauf (CISG), Springer, 2010, 81

¹⁸ იქვე, 81

¹⁹ კონვენციის 95 მუხლის თანახმად, ნებისმიერ სახელმწიფოს თავისი სარატიფიკაციო სივრცის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების თაობაზე საბუთის შესანახად ჩაბარების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი

ვენის კონვენცია ვრცელდება მოძრავ მატერიალურ (körperlicher Sachen) ნივთების ნასყიდობაზე, რომელიც ექცევა საერთაშორისო ვაჭრობის ჭრილში და ეხება: გადაზიდვას, შეფუთვას, გადაცემის რისკს, შენახვას, უკან დაბრუნების გამორიცხვასა და უკან დაბრუნების შემთხვევაში ტრანსპორტირებას.²⁰

2. მეორადი მოთხოვნების უფლების ზოგადი მიმოხილვა ვენის კონვენციის მიხედვით

მეორადი უფლებები, რომლებიც მყიდველს წარმოეშობა გამყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, მონესრიგებულია ვენის ნასყიდობის კონვენციის III კარის II თავის III ნაწილით. მსგავსად ქართული სამართლისა აქაც ვხვდებით ოთხი სახის მეორადი მოთხოვნის უფლებას, ესენია: დამატებითი შესრულება, ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება და ზიანის ანაზღაურება.²¹

ვენის კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად, თუ გამყიდველი ვერ შეასრულებს მასზე ხელშეკრულებით ან კონვენციით გათვალისწინებულ წინაპირობებს. მას შეუძლია: “ა) გამოიყენოს 46-52 მუხლებით მინიჭებული უფლებები ან ბ) მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება კონვენციის 74-77 მუხლების შესაბამისად.” ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის პარალელურად მყიდველს შეუძლია მოითხოვოს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებიც. აღნიშნულ ნაწილს ფართო გავრცელება აქვს სასამართლო სისტემაში.

იმისათვის, რომ მყიდველს წარმოეშვას მეორადი მოთხოვნის უფლება სახეზე უნდა გვექონდეს რამდენიმე წინაპირობა. პირველ რიგში უნდა იკვეთებოდეს ვალდებულების დარღვევა, ამასთან დარღვევა უნდა იყოს მნიშვნელოვანი²² და დარღვევასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს გამყიდველის ინფორმირება.²³ ხელშეკრულების დარღვევა არსებითია „თუ ამას მოჰყვება მეორე მხარის ისეთი ზიანი, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად კარგავს იმას, რისი მიღების იმედიც ხელშეკრულების

არ იქნება შებოჭილი ამ კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ბ ქვეპუნქტით, რომელშიც თავის მხრივ საუბარია კონვენციის გამოყენებაზე მაშინ, როდესაც საერთაშორისო კერძოსამართლის ნორმები მითითებას აკეთებენ ხელშეკრულებითი სახელმწიფოს სამართლის გამოყენებაზე.

²⁰ Bruner c., Dornis T., Ernst W., Gsell B., Hurni C., Koller H., Lauko R., Magnus U., Melis W., Schnyder A.K., Schonle H., Siehr K., Straub R.M., Weber R.H., Kommentar zum UN-Kaufrecht ubereinkommen der Vereinten Nationen uber Verträge uber den Internationalen Warenkauf (CISG), Springer, 2010, 91

²¹ Schlechtriem P., Butler P., UN Law on International Sales, The UN Convention on the International Sale of Goods, Berlin-Heidelberg, 2009, 138

²² Bridge M.G., The International Sale of Goods third edition, Oxford, Oxford University press, 2013, 566

²³ Richard E. Speidel, Buyer's Remedies of Rejection and Cancellation under the UCC and the Convention, *The Journal of Contract Law* (1993), 137 იხ. <https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/speidel.html> (06.07.2019)

საფუძველზე სამართლიანად ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვერ ითვალისწინებდა ასეთ შედეგს“.²⁴

კონვენციის 35-37 მუხლებში მოცემულია დათქმა, რომ გამყიდველმა მყიდველს უნდა მიანოდოს საქონელი, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს²⁵. მსგავსი შინაარსი გამომდინარეობს სსკ-ს 316 და 487 მუხლებიდან, რომელთა თანახმადაც ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, ამასთან, გამყიდველმა მყიდველს უნდა მიანოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნდაკლო ნივთი.

კონვენციის 35 მუხლი(1) თავის თავში მოიაზრებს ყველა სახის ხარვეზს. ცნება ხელშეკრულების დარღვევაში პირველ რიგში მოიაზრება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა. ვალდებულებები, რომლებიც მხარეებს ეკისრებათ გამომდინარეობს არამხოლოდ ხელშეკრულებიდან, არამედ ჩვეულებებიდან და პრაქტიკიდანაც, რომელიც მათ ჩამოაყალიბეს ერთმანეთს შორის.²⁶ ხარვეზად ჩაითვლება შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია საქონლის რაოდენობასთან, ხარისხთან ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ აღწერილობასთან.²⁷ ხარვეზად განიხილება ასევე შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია სათაურთან ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებასთან (კონვენციის 42 მუხლი).²⁸

მხარეები წინასწარ თანხმდებიან იმ პირობებზე, რომლის დარღვევის შემთხვევაში ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლობად და მხარეს წარმოეშობა მეორადი მოთხოვნის უფლებები. მსგავსი დათქმაა მოცემული UNCITRAL პრინციპების 7.1.1 და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების (The PECL) 8:101 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში.²⁹

კონვენციის 35 მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია დათქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეფუთვის არსებობასთან დაკავშირებით, რაც არ გვხვდება არც გერმანულ და არც ქართულ სამართალში. შესაბამისად, წინასწარ შეთანხმებული შეფუთვის პირობების შეუსრულებლობა ჩაითვლება ვალდებულების დარღვევად, რაც თავის მხრივ წარმოშობს მეორადი მოთხოვნის უფლებებს.

²⁴ The CISG, Art.25

²⁵ Huber P., Mullis A., The CISG A new textbook for students and practitioners, sellier, European law publishers, 2007, 130

²⁶ იხ. CISG, Art.9

²⁷ Richard E. Speidel, Buyer's Remedies of Rejection and Cancellation under the UCC and the Convention, The Journal of Contract Law (1993), 137 იხ. <https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/speidel.html> (06.07.2019)

²⁸ Felemegas J., An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law, Cambridge, 2007, 168

²⁹ იქვე.

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობა

გამყიდველმა უნდა მიაწოდოს იმ რაოდენობის საქონელი რაც ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მან დარღვია კონვენციის 35 (1) მუხლის წინაპირობები³⁰, ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა საქონელი შეთანხმებულზე მეტი ოდენობით იქნება მიწოდებული, ნაკლები ოდენობით ან თუ სახეზეა მიწოდებული საქონლის ნაწილის ნაკლი.³¹

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხი

სიტყვა „ხარისხს“ აქვს ფართო განმარტება და იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური მახასიათებლებით. ხარისხის შეუსაბამოდ შეიძლება ჩაითვალოს საქონელი, რომელის მწარმოებელიც არ არის წინასწარ შეთანხმებული ქვეყანა. შეუსაბამოდ ჩაითვლება შემთხვევაც, როდესაც მიწოდებული საქონელი შეთანხმებულზე მაღალი ხარისხის აღმოჩნდება.³² ხელშეკრულების დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს ასევე შემთხვევა, როდესაც გამყიდველი მყიდველს მიაწვდის სამი წლით უფრო ძველ სატვირთო ავტომანქანას, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით.³³

უცხოენოვან ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ aliud-სა (შეთანხმებულისგან განსხვავებული საქონლის გაგზავნა) და peius-ს (შეთანხმებულისგან განსხვავებული ხარისხის საქონლის მიწოდება).³⁴ შეიძლება ითქვას, რომ მათ გამოიყენა ხშირ შემთხვევაში პრობლემურია. ვენის კონვენცია არ გამოყოფს ამ ორ შემთხვევას ერთმანეთისგან და ამბობს, რომ ორივე უნდა განიხილებოდეს მსგავსად.

³⁰ Huber P., Mullis A., The CISG A new textbook for students and practitioners, sellier, European law publishers, 2007, 131

³¹ Bruner c., Dornis T., Ernst W., Gsell B., Hurni C., Koller H., Lauko R., Magnus U., Melis W., Schnyder A.K., Schonle H., Siehr K., Straub R.M., Weber R.H., Kommentar zum UN-Kaufrecht ubereinkommen der Vereinten Nationen uber Vertrage uber den Internationalen Warenkauf (CISG), Springer, 2010, 386

³² Huber P., Mullis A., The CISG A new textbook for students and practitioners, sellier, European law publishers, 2007, 132

³³ იქვე.

³⁴ Felemegas J., An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law, Cambridge, 2007, 182

3. კონვენციის 35 მუხლის მეორე პუნქტი

მხარეები ხელშეკრულების დადებამდე როგორც წესი თანხმდებიან ყველა არსებით თვისებაზე. კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია ის ობიექტური და სუბიექტური გარემოებები³⁵, რა დროსაც საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას:

ა) თუ იგი გამოუსადეგარია იმ მიზნებისთვის, რომლებისთვისაც ჩვეულებრივ გამოიყენება იმავე აღწერილობის საქონელი. ბ) თუ იგი არ არის ვარგისი იმ მიზნისათვის, რაზეც მყიდველმა გამყიდველს მიუთითა ხელშეკრულების დადებისას. გ) თუ გამყიდველმა მყიდველს წარუდგინა საქონლის ნიმუში და მოდელი, თუმცა საბოლოოდ მიწოდებული საქონელი მათ არ შეესაბამება. დ) თუ მხარეები შეთანხმდნენ საქონლის სპეციალური სახის შეფუთვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მის შენახვასა და დაცვას და აღნიშნული არ შესრულდება.

ამასთან, გამყიდველი გათავისუფლებული იქნება პასუხისმგებლობისგან, თუ ხელშეკრულების დადების დროს მყიდველმა იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა ასეთი შეუსაბამობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, მყიდველს შეუძლია მოსთხოვოს მას ვალდებულების შესრულება.

კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შეფუთვისა და ნიმუშის მიწოდების მომწესრიგებელი დებულებები არ გვხვდება ქართულ სამოქალაქო კოდექსში.

4. ნაკლზე მითითების ვალდებულება

ნაკლოვანი შესრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნების შენარჩუნებისათვის, მყიდველმა შესაბამის ვადაში უნდა მიუთითოს გამყიდველს ნივთის ნაკლზე (კონვენციის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამ ვადის გაშვების შემდეგ ნივთი მიიჩნევა ხელშეკრულების შესატყვისი ხარისხის მქონედ.

³⁵ CISG Case Presentation, Greece 2009 Decision 2282/2009 of the Multi-Member Court of First Instance of Athens, <http://cisgw3.law.pace.edu/cases/092282gr.html> (23.06.2019)

კონვენციის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ნაკლზე მითითების ვადის დინება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მყიდველმა ნივთის ნაკლი აღმოაჩინა ან უნდა აღმოეჩინა. კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად მყიდველმა ნივთი უნდა შეამოწმოს მოკლე ვადაში, რომელიც გამოითვლება კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, როგორც არის ნივთის სირთულე, მისი შეფუთვა და ნაკლის სახე³⁶. მაგალითად მალფუჭებადი ნივთის შემთხვევაში ეს ვადა არის გაცილებით მცირე, ვიდრე სხვა ნივთების შემთხვევაში, მაგრამ ასევე არამალფუჭებადი ნივთების შემთხვევაშიც შემოწმება, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, 3-4 დღეში უნდა მოხდეს³⁷. ამასთან, „მყიდველი კარგავს უფლებას მიუთითოს საქონლის შეუსაბამობაზე, თუ იგი გამყიდველს არ გადასცემს შეტყობინებას ამის შესახებ არაუგვიანეს ორი წლისა იმ თარიღიდან, როდესაც საქონელი ფაქტობრივად გადაეცემა მყიდველს.“³⁸

5. დამატებითი ვადის დანესება (Nachfrist)

Nachfris-ის დანესება არ ითვალისწინებს რაიმე განსაკუთრებული ფორმის დაცვას. დამატებითი ვადის დანესება შეიძლება მოხდეს ზეპირი სახითაც, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით წერილობითი ფორმის დაცვა, რასაკვირველია, უფრო მოსახერხებელი იქნება მყიდველისთვის, განსაკუთრებით მტკიცების დროს. Nachfris-ი უნდა შეიცავდეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნას და კონკრეტულ ვადას, რის განმავლობაშიც უნდა მოხდეს შესრულება.³⁹ ვადა უნდა იყოს გონივრული და ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს. როგორც შეუსაბამოდ მოკლე, ასევე შეუსაბამოდ გრძელი ვადის დანესება შესაძლებელია ჩაითვალოს არაეფექტურად. ამასთან, სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეუსაბამო ვადის გაზრდა ან შემცირება გონივრულ ოდენობამდე.⁴⁰

³⁶ COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 384.

³⁷ PILTZ, Internationales Kaufrecht, § 5 Rn. 77; COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung (2012), 384 – ცალკეულ მართლწესრიგებში „შესაბამის ვადად“ სხვა ხანგრძლივობის ვადაა მიჩნეული, მაგალითად, გერმანული უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად ნაკლზე მითითებისათვის მყიდველს ერთი თვე აქვს.

³⁸ The CISG, Art.39(2)

³⁹ Felemegs J., An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law, Cambridge, 2007, 182

⁴⁰ იქვე

კონვენციის 47 მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე დამატებითი ვადის პერიოდში მყიდველს არ აქვს უფლება გამოიყენოს რომელიმე მეორადი მოთხოვნა. მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც დარღვევა არსებითია.⁴¹

III თავი .

1. მეორადი მოთხოვნები წარმოშობის წინაპირობები ქართული სამართლის მიხედვით (შედარებითი ანალიზი)

ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას (სსკ-ს 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნული წინაპირობების შეუსრულებლობა ჩაითვლება ვალდებულების დარღვევად. რომის სამართალში ვხვდებით ჩანაწერს „obligatio est iuris vinaelum, quo necessitate adstringimur alicuius solvendae rei secundum nostrae civitatis iura” (Ins. lust. 3,13 Pap)⁴², რაც გულისხმობს, რომ ვალდებულება არის სამართლებრივი ბორკილი, რომლის ძალით, კანონის ფარგლებში იძულებულები ვართ რაიმე შევასრულოთ.

ვალდებულება უნდა შესრულდეს, მაგრამ მისი დარღვევის შემთხვევაში მხარეს წარმოეშობა მეორადი მოთხოვნის უფლებები.⁴³ მეორადი მოთხოვნები არის დაზარალებული მხარის დაცვის სამართლებრივი ბერკეტი. დარღვევა შეიძლება რამდენიმე ფორმით გამოიხატოს, ძირითადად, ესენია: ვალდებულების შეუსრულებლობა, არასათანადო შესრულება, მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება და აგრეთვე არაძირითადი მოვალეობის დარღვევა. გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდელ პერიოდში გსკ გამოყოფდა დარღვევის 4 ტიპს: შესრულების შეუძლებლობას, შესრულების ვადის გადაცილებას,

⁴¹ Felemegas J., An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law, Cambridge, 2007, 186

⁴² Zimmermann R., The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996, 1

⁴³ Rowan S., Remedies for Breach of contract: A comparative analysis of the Protection of Performance, Oxford University Press, 2012, 17

ხელშეკრულების პოზიტიურ დარღვევას,⁴⁴ არაჯეროვან შესრულებას. თუმცა რეფორმის შემდეგ ყველა ზემოაღნიშნული ფორმა გაერთიანდა ერთიან ცნებაში-ვალდებულების დარღვევაში.⁴⁵ ინგლისური სამართლის სისტემაში დარღვევად მიიჩნევა, ხელშეკრულების შეუსრულებლობა, ფრანგულ სამოქალაქო კოდექსი იცნობს სიტყვას შეუსრულებლობა „inexecution“.⁴⁶

ვალდებულების შესრულება წარმოადგენს პირველად მოთხოვნას. საყურადღებოა, რომ პირველადი მოთხოვნის შესრულება გამორიცხავს მეორად მოთხოვნებს. მეორადი მოთხოვნების განხორციელება მხარეს წარმოეშობა მას შემდეგ რაც მოვალე არ- ან ვერ შესრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.⁴⁷ ამასთან, შეგვიძლია მეორადი მოთხოვნები დავყოთ პრიორიტეტების მიხედვითაც, ამისთვის პირველ რიგში უნდა გამოვიდეთ ყოველი კონკრეტული შემთვევიდან.

სკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორს აქვს უფლება მოვალისგან მოითხოვოს შესრულება, აღნიშნული წარმოადგენს პირველად მოთხოვნას. თავისი ბუნებით, მოთხოვნის უფლება რელატიურია და ამ უფლების გამოყენება კრედიტორს მხოლოდ მოვალის მიმართ შეუძლია. თუმცა, ეს უფლება არ ანიჭებს მას იმის შესაძლებლობას, რომ მიმართოს თვითნებობას და მხარეს, ფიზიკური ან სხვაგვარი ზემოქმედების საშუალებით, აიძულოს ვალდებულების შესრულება, გარდა სკ-ის 118-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა (თვითდახმარება)⁴⁸. პირველადი მოთხოვნა მეორისგან იმით განსხვავდება, რომ იგი გამომდინარეობს უშუალოდ ხელშეკრულებიდან და ხელშეკრულების მხარეების მთავარ ინტერესს წარმოადგენს.

მაგ. პირველადი მოთხოვნაა ის რაზეც მხარეები თანხმდებიან, ეს შეიძლება ეხებოდეს ქონებაზე საკუთრებისა და მფლობელობის უფლების გაცვლას,⁴⁹ საქონლის მიწოდებას სპეციალური პირობებით, ასევე, სსკ-ის 477-ე მუხლის თანახმად, გამყიდველი ვალდებულია: გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მიანოდოს საქონელი, გადასცეს მასთან დაკავშირებული

⁴⁴ positive Vertragsverletzung- პოზიტიური ვალდებულების დარღვევა განაპირობებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

⁴⁵ მაჭარაძე მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა- განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, ურნ. „ ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 128 გვ.

⁴⁶ Zimmermann R., The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996, 783

⁴⁷ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 57, იხ. http://www.library.court.ge/upload/sofio_chachava.pdf (17.06.2019)

⁴⁸ თოდუა მ., ვილემსი პ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 39

⁴⁹ Rowan S., Remedies for Breach of contract: A comparative analysis of the Protection of Performance, Oxford University Press, 2012, 17

საბუთები. მყიდველი, თავის მხრივ, ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. მოცემული წარმოდგენს ვალდებულების პირველად მოვალეობებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც მხარეს წარმოეშობა მეორადი მოთხოვნის უფლებები.

სხვა საკითხია, ვალდებულების დარღვევას მოვალის პასუხისმგებლობა მოჰყვება თუ არა. ვინაიდან, ქონებრივი პასუხისმგებლობის მოვალეზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე გვექონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობას.⁵⁰

ძირითადად ვხვდებით შემდეგ მეორად მოთხოვნებს: დამატებითი შესრულება, ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება და ზიანის ანაზღაურება.⁵¹ მსგავს ჩამონათვალს შევხვდებით CISG-ში⁵², ასევე, გერმანულ და ქართულ სამოქალაქო კოდექსებში. მოცემულ სამართლებრივ რეჟიმებში მეორადი მოთხოვნების წარმოსაშობად ვალდებულების დარღვევასთან ერთად, საჭიროა მოხდეს მოვალისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრა.

1.1 ვალდებულების დარღვევა ქართული სამართლის მიხედვით

ვალდებულების დარღვევის ერთიან ცნებას კანონმდებელი არ იძლევა. როდესაც ერთი მხარე რაიმე მიზეზით ხელშეკრულებას ჯეროვნად არ ასრულებს, ან კიდევ სხვაგვარად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, ადგილი აქვს ვალდებულებათა დარღვევას.

⁵⁰ იქვე. 364

⁵¹ Zimmermann R., *The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives*, Oxford, 2012, 110

⁵² Huber P., *CISG –The Structure of Remedies*, *Rabels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht / The Rabel Journal of Comparative and International Private Law*, Bd. 71, H. 1, *The Convention on the International Sale of Goods – The 25th Anniversary: Its Impact in the Past – Its Role in the Future*. German Society of Comparative Law – Private Law Division Conference 2005: 22–24 September 2005, Würzburg (Januar 2007), 14

„მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა“ გაგებულ უნდა იქნეს როგორც ვალდებულების დარღვევის ზოგადი ცნება⁵³. იგი მოიცავს ვალდებულების დარღვევის ყველა შემთხვევას⁵⁴ მაგ: ვალდებულების შეუსრულებლობა, აგრეთვე არასათანადო შესრულება, მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება და, ასევე, არაძირითადი მოვალეობის დარღვევა. საერთაშორისო ნასყიდობის სამართალში ყველა სახის ვალდებულების დარღვევისთვის გამოიყენება ერთიანი ცნება- „ხელშეკრულების დარღვევა“, ⁵⁵ მსგავსი მიდგომაა გაზიარებული გერმანულ სამოქალაქო კოდექსშიც.

ინგლისურ სამართალში, ხელშეკრულების დარღვევად მიიჩნევა მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. ხელშეკრულების პირობების შემუშავებისას მხარეები სარგებლობენ სრული თავისუფლებით. ამასთან, მოცემული სამართლის სისტემა ერთმანეთისგან განასხვავებს პირობებს („conditios“) და გარანტიებს („warranties“).⁵⁶ პირობების უმნიშვნელო დაღვევაც⁵⁷ კი შესაძლოა გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი. გარანტიებს შედარებით დაბალი ლეგიტიმაცია გააჩნია და მათი დარღვევა ყოველთვის არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას.

პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობასა თუ არასათანადო შესრულებაში მოიაზრება სსკ-ის 361-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა, კერძოდ შესრულება არ ხორციელდება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სსკ-ს 400 მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდა, შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას. ამასთან, საინტერესოა, სსკ-ს 401 მუხლი, რომელიც ეხება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას. აღნიშნული ნორმა ყურადღებას ამახვილებს მოვალის ბრალზე და აწესებს, რომ ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა არ არის გამონეყელი უშუალოდ მოვალის ბრალით.

⁵³ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 50, იხ. http://www.library.court.ge/upload/sofio_chachava.pdf (17.06.2019)

⁵⁴ კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 161

⁵⁵ იქვე

⁵⁶ Rowan S., Remedies for Breach of contract: A comparative analysis of the Protection of Performance, Oxford University Press, 2012, 71-73

⁵⁷ იქვე 73. საინტერესოა Union Eagle Ltd v Golden Achievement Ltd, სადაც ხელშეკრულებით ზუსტად იყო განსაზღვრული დრო, როდესაც მყიდველს გადახდის შემთხვევაში გადაეცემოდა ბინა. მყიდველმა თანხის გადარიცხვა დაავგვიანა 10 წუთით, გამყიდველმა შეწყვიტა ხელშეკრულება.

ძირითადი ვალდებულების დარღვევის ჭრილში საყურადღებოა არაძირითადი ვალდებულების დარღვევაც, რომელიც მოცემულია სსკ-ს 316-ე II და 317 მუხლების მე-3 ნაწილში. კერძოდ, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება მხარეებს აკისრებს განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენას, რაც ლოგიკურ ბმას წარმოშობს სსკ-ს 317 მუხლის მე-3 ნაწილთან, რომელიც ითვალისწინებს წინასახელშეკრულებო ხარჯების ანაზღაურებას, მაშინ, როდესაც ხელშეკრულება მეორე მონაწილის ბრალეული ქმედებით არ არის დადებული.⁵⁸

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მეორადი მოთხოვნის უფლებათა წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველს ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს. სსკ-ის 379-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტორი არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. მოვალეს არა აქვს უფლება დამოუკიდებლად შეცვალოს შესრულების საგანი. ნასყიდობის ხელშეკრულებაში არაჯეროვან შესრულებად ჩაითვლება ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის მიწოდება მყიდველისთვის.

ზემოაღნიშნულადან გამომდინარე, მეორადი მოთხოვნის წარმოშობისთვის აუცილებელია სახეზე გვექონდეს ვალდებულების დარღვევა, ამასთან, დარღვევა უნდა იყოს არსებითი. უმნიშვნელო დარღვევის დროს ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეს აქვს მხოლოდ ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობა. ვალდებულების დარღვევის ხარისხი, ე.ი. ის საკითხი თუ რამდენად არსებითია გადაცდომა შეფასების საკითხია და ქვეყნებს სხვადასხვა მიდგომა აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით, ზოგიერთი ქვეყანაში უმნიშვნელო დარღვევაც შეიძლება გახდეს მეორადი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობა.

ხელშეკრულების გასვლასთან მიმართებით არ არის გასაკვირი, რომ საქართველოს CISG-ს მსგავსი მიდგომა აქვს. ამასთან, არსებით დარღვევასთან მიმართებით ჩინეთის სამოქალაქო კოდექსის 94(2-4) მუხლი შეესაბამება ვენის კონვენციის 25-ე მუხლს. თუმცა მათ შორის არის გარკვეული განმასხვავებელი ნიშნებიც, მაგალითად, 25-ე მუხლის თანახმად, ზიანი მხარისთვის წინასწარ შეცნობადი უნდა იყოს. მსგავსი მითითება არაა ჩინეთის კოდექსში, რითიც მას უფრო ლოიალური მიდგომა აქვს.⁵⁹

⁵⁸ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, უფრ. „ ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2004, 51

⁵⁹ Ferrari F., The CISG and its Impact on National Legal Systems, sellier, European law publishers GmbH, Munich, 2008, 88

ზოგიერთ ქვეყანაში ვალდებულების დარღვევად და მეორადი მოთხოვნების წარმოშობის საფუძვლად ითვლება შემთხვევა, როდესაც მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ნიმუშს (sample);⁶⁰ ე.ი. როდესაც მხარეებ ხელშეკრულების დადებამდე წარმოუდგინა მყიდველს ნიმუში, იგულისხმება, რომ ამ ნიმუშის ასლი უნდა იყოს მისაწოდებელი საქონელი. მსგავსი ჩანაწერი გვხვდება იტალიისა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსებში. თუმცა, მსგავს დებულება არ არის მოცემული არც ქართულ და არც ფრანგულ სამოქალაქო კოდექსებში.⁶¹

ვალდებულების დარღვევისას, პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭიროა სახეზე იყოს ქმედების მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდაგარ შედეგს შორის და ბრალი. აღსანიშნავია, რომ ბრალის არსებობა მხოლოდ ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით არის აუცილებელი წინაპირობა. სხვა მეორადი მოთხოვნები მხარეს შეიძლება წარმოეშვას ბრალის არსებობის მიუხედავად.

განვიხილოთ მნიშვნელოვანი დარღვევები დეტალურად:

1.1.1 ნივთობრივი ნაკლი

ვალდებულება ჩაითვლება დარღვეულად თუ სახეზე გვექნება ნასყიდობის საგნის ნივთობრივი (სსკ-ის 488-ე მუხლი) ან უფლებრივი ნაკლი (სსკ-ის 489-ე მუხლი). განვიხილოთ თითოეული მათგანი.

სსკ-ის 488-ე I მუხლის მიხედვით, ნივთობრივი ნაკლი სახეზეა, თუ ხელშეკრულების საგანი არ შეესაბამება შეთანხმებულ ხარისხს, ან, თუ ნივთი არ არის ვარგისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისთვის. სსკ-ს 380-ე მუხლის შესაბამისად: „თუ ვალდებულების შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრულებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე ვალდებულია, შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი“. მხარეები ზოგჯერ ხელშეკრულებით ითვალისწინებენ ნივთის ხარისხს. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხისაგან განსხვავებული ხარისხი, თუნდაც ჩვეულებრივი სარგებლობისთვის გამოსადეგი იყოს, განიხიება ნაკლიან მიწოდებად.

სსკ-ს 490-ე I მუხლის მიხედვით, თუ სახეზეა ნივთობრივი ნაკლი, გამყიდველმა უნდა გამოასწოროს იგი, ან გვაროვნული ნივთის შემთხვევაში

⁶⁰ Jelena Vilus, Quality Control in the International Sale of Goods, 1977 Unif.L.Rev.o.s.2., 1997, 9

⁶¹ იქვე.

უნდა შეცვალოს სხვა ნივთით. თუ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია, მყიდველი ამ შემთხვევაში ნივთის შეცვლას ვერ მოითხოვს.

მოცემული საკითხის ჭრილში, მიზანშეწონილია განვიხილოთ გსკ-ს 434-ე პარაგრაფი, რომლის თანახმად ნივთის ნაკლი არის ნასყიდობის საგნის ფაქტობრივი თვისობრიობის არასასურველი გადახვევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თვისობრიობისგან. თვისებრივი შეცდომა შეესაბამება გსკ-ის 434-ე I 2, 1 და II პარაგრაფს.⁶² შესაბამისად, მოცემული პარაგრაფის პირველი ვერი ყურადღებას ამოხვილებს მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორებზე, და ობიექტურ კრიტერიუმებს ამ ნაწილში არ ვხვდებით,⁶³ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარეები წყვეტენ ხელშეკრულებით საგნის თვისობრიობას. თვისობრიობის ცალკე განმარტება არ არის მოცემული გსკ-ში.

ქართულ სამოქალაქო კოდექსში ნახსენებია ნივთის შეთანხმებული ხარისხი და ტერმინ „თვისობრიობას“ არ ვხვდებით არსად. თუ რა იგულისხმება ხარისხში განმარტებული არ არის. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ხარისხი განსაზღვრულია როგორც რასიმე შედარებითი ღირსება (მაგალითად მოყვანილია „პროლექციის ხარისხის გაუმჯობესება“) ⁶⁴ . აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოცემული ტერმინის განმარტებაზე არ აქვს ნამსჯელი უზენაეს სასამართლოს.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ გერმანიაში განასხვავებენ ხარისხობრივ და გარემოებით ნაკლს.⁶⁵ ნასყიდობის საგნის ფიზიკური თვისობრიობის ნაკლი, მაგ., სახლის ფუნდამენტური არამდგრადობა, გაყიდულ ოქროს ბეჭედში ოქროს შემცველობის ნაკლებობა. გარემოებითი ნაკლი გამომდინარეობს ნასყიდობის საგნის სამყაროსთან ურთიერთობისას.⁶⁶

გსკ-ის 434-ე პარაგრაფით ნივთი ასევე ნაკლის მქონეა-თუ იგი გამოუსადეგარია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისთვის, თუ იგი გამოუსადეგარია ჩვეულებრივი სარგებლობისთვის და არ აქვს ის თვისობრიობა, რაც დამახასიათებელია იმავე სახეობის ნივთებისთვის, ასევე შემთხვევა, როდესაც ნივთი არ შეესაბამება საჯაროდ გამოთქმულ შეხედულებებს, არასწორად არის გაცემული ნივთის დამახასიათებელი

⁶² მესხიშვილი მ., ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, გვ 22.

⁶³ J. von Staudingers, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einfhrungsgesetz und Nebengesetzen Eckpfeiler des Zivilrechts, Berlin, 2008, 572

⁶⁴ მესხიშვილი მ., ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, გვ 31

⁶⁵ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 315

⁶⁶ ნაკლად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც არ არსებობს არანაირი კავშირი ნივთის ფიზიკურ მდგომარეობასთან. აქ მოიაზრება ყველა ფაქტობრივი, სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური გარემოება, რომლებიც, სამოქალაქო ბრუნვის შეხედულებით, ნივთის ღირებულებასა და გამოყენებადობაზე პირდაპირ ახდენენ გავლენას. იხ. კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 315

ნიშნების აღწერილობა. ნაკლის მქონეა ნივთიც თუ იგი არ არის შეთანხმებული ოდენობის.⁶⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გერმანულისგან განსხვავებით არ არის მსჯელობა რეკლამის მონტაჟთან დაკავშირებულ საკითხებზე (გსკ-ის 434-ე I 3, II პარაგრაფი). არც მონტაჟი და არც ინსტრუქცია არ არის ნახსენები სამოქალაქო კოდექსში, განსხვავებით გერმანულისგან, სადაც გადანწყვიტეს ერთად მოეყარათ თავი იმ უფლებებისა და მოვალეობების ჩამონათვალისთვის, რაც ნივთობრივ ნაკლთან არის გათანაბრებული. პრაქტიკული თვალსაზრისით ამ საკითხის გერმანული მონესრიგება უფრო მოსახერხებელია ნორმის განმარტების კუთხით.

1.1.1.1 ნივთობრივ ნაკლთან გათანაბრებული შემთხვევები

სსკ-ს 488 მუხლის მეორე ნაწილიდან ვიგებთ, რომ ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი მიიღებს „გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე.“ მოცემული წარმოდგენს ქონებრივ ნაკლთან გათანაბრებულ შემთხვევებს.

გსკ-ს 434 §-ის მე-3 ნაწილიდან ვკითხულობთ „ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება შემთხვევა, თუ გამყიდველი გადასცემს სხვა ნივთს ან ნივთს მცირე რაოდენობით.“ მოცემულ შემთხვევაში პირს უპირატესად დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, რომელიც გამოიხატება მხოლოდ უნაკლო ნივთის მიწოდებით და არა ნაკლის გამოსწორებით.⁶⁸ მოცემულ შემთხვევაში მოცემულია შემთხვევა, როდესაც ხდება შეთანხმებულზე ნაკლები ოდენობის საქონლის მიწოდება. გსკ არაფერს ამბობს იმ შემთხვევაზე, როდესაც ხდება ზედმეტი ოდენობის საქონლის მიწოდება. რასაკვირველია, მიიღება უკან უნდა დააბრუნოს ზედმეტად მიღებული საქონელი ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი უკუმოთხოვნით. ამასთან, ზედმეტად მიწოდებული ალიუდი უნდა განიხილებოდეს გსკ-ს 434 §-ის მე-3 ნაწილის ჭრილში.⁶⁹

⁶⁷ J. von Staudingers, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen Eckpfeiler des Zivilrechts, Berlin, 2008, 574

⁶⁸ კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 317

⁶⁹ J. von Staudingers, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen Eckpfeiler des Zivilrechts, Berlin, 2008, 577

მეორადი მოთხოვნის სტრუქტურის თვალსაზრისით, ამ ნაწილთან მიმართებით დიდი ყურადღება ექცევა ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობას. თუ შესრულების მხოლოდ ნაწილია ნაკლიანი, აღნიშნულიც განიხილება, როგორც უპირობო ნაკლიან შესრულებად. რასაკვირველია, მყიდველს უნდა ჰქონდეს უმნიშვნელო ნაკლის შემთხვევაშიც გარკვეული მოთხოვნების წაყენების უფლება.⁷⁰ შესაბამისად, ამ დროს უპირატესად გამოსაყენებელია დამატებითი შესრულების მოთხოვნა. მაგრამ, თუ დარღვევა არსებით ზეგავლენას ახდენს მთლიან შესრულებაზე, მაშინ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.

1.1.2 უფლებრივი ნაკლი

სსკ-ს 489 მუხლში მოცემულია უფლებრივად უნაკლო ნივთის ცნება. უფლებრივად უნაკლოდ ჩაითვლება ნივთი თუ მასზე არ ვრცელდება მესამე პირთა უფლებები. ამავე მუხლის მეორე ნაწილით კი, უფლებრივ ნაკლს უთანავრდება, თუ არარსებული უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მესამე პირის მოთხოვნის საფუძველი საკუთრების უფლების წარმოშობამდე უნდა არსებობდეს, უშუალოდ მოთხოვნა კი შესაძლოა საკუთრების უფლების გადაცემის შემდგომ წარმოიშვას. უფლებრივი ნაკლის არსებობისთვის არ აქვს მნიშვნელობა მესამე პირი აპირებს თუ არა ამ უფლების გამოყენებას.⁷¹

იმ შემთხვევაში თუ მხარემ საკუთრების უფლების გადმოცემამდე იცოდა უფლებრივი ნაკლის არსებობის თაობაზე, მაშინ მას, ცხადია, გამყიდველის მიმართ არ ექნება შედავების უფლება.

თითქმის მსგავსი ნორმაა მოცემული გსკ-ს 435-ე პარაგრაფში. ამასთან, მოცემული ნორმის ფარგლებში უფლებრივ ნაკლად განიხილება: ყველა სანივთო უფლება, ობლიგატორული(მაგალდებულებელი) უფლებები, რომლებიც მყიდველს ხელს უშლიან ნასყიდობის საგნის გამოყენებაში. უფლებრივ ნაკლად შიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე ნივთის გამოყენების საჯაროსამართლებრივი შეზღუდვები.⁷²

მეორადი მოთხოვნის სტრუქტურის თვალსაზრისით, მსგავსად ნივთობრივი ნაკლისა აქაც, უმნიშვნელო ხარვეზის არსებობა არ არის ხელშეკრულებიდან

⁷⁰ ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარი, მუხლი 488, 2016, ველი 45, გვ. 8

⁷¹ ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარი, მუხლი 489, 2016, ველი 6, გვ. 3

⁷² კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 319

გასვლის საფუძველი, შესაბამისად, შეიძლება წარმოიშვას სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებები.

IV თავი .

1. დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება

ნაშრომში არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ მეორადი მოთხოვნის უფლება ვერ წარმოიშვება მანამ, სანამ არ გამოიკვეთება, რომ მოვალის მიერ ვალდებულება არ ან ვერ სრულდება. პირველადი შესრულების მოთხოვნა გამორიცხავს მეორად მოთხოვნებს. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამასთან, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნოვოობრივად და უფლებრივად უნდაკლო ნივთი.

დამატებითი შესრულება მეორად მოთხოვნათა შორის უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა. იგი მოვალისთვის დამატებითი შესაძლებლობაა, „გადაარჩინოს“ ხელშეკრულება და დააკმაყოფილოს შესრულების ინტერესი.⁷³ მყიდველის აღნიშნული უფლება განიხილება, როგორც გამყიდველის უფლება „შეასრულოს ვალდებულება მეორე მცდელობით“.⁷⁴

დამატებითი შესრულების მოთხოვნის გამოყენება გამომდინარეობს სსკ-ს 490-ე და 405-ე მუხლებიდან. სსკ-ს 490 მუხლიდან ვიგებთ, რომ თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, „გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში“.

დამატებითი შესრულების მოთხოვნასთან მიმართებით ბრალის არსებობას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. აღნიშნული მეორადი მოთხოვნის უფლება მხარეს წარმოემოხება იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა გამყიდველი რაიმე ფორმით პასუხისმგებელი ნივთის ნაკლის თაობაზე.⁷⁵

ნაკლის გამო წარმოშობილი უფლებებისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრა პირდაპირაა დაკავშირებული დამატებითი შესრულების მოთხოვნასთან. სსკ-ს 405 მუხლის შესაბამისად, იმისათვის, რომ მხარეს წარმოემოხვას დამატებითი შესრულებისგან განსხვავებული მეორადი მოთხოვნები, აუცილებელია „დამატებით განსაზღვრული ვადის

⁷³ ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარი, მუხლი 490, 2016, ველი 6, გვ. 2

⁷⁴ Recht auf Zweite Andienung, RegBegr BT-Drucks 14/6040, 86, 89, 220., ციტირებულია კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 319

⁷⁵ ბაჩიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 170

უშედეგოდ გასვლა.“ დამატებითი შესრულება უპირატესად მოსათხოვი მეორადი უფლებაა ფასის შემცირების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით, ვინაიდან იგი არსებობს წინასწარი ვადის დადგენის გარეშე.⁷⁶ დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება თითქმის მსგავსად არის მონენსრიგებული გერმანულ და პოლანდიურ სამოქალაქო კოდექსებში, სადაც აუცილებელია მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ მოვალის შეტყობინება და დამატებითი შესრულების მოთხოვნა, მათგან განსხვავებით მსგავსი ვალდებულება არ იკითხება ინგლისურ სამართლებრივ სისტემაში.⁷⁷

იმისათვის, რომ მხარეს ჰქონდეს დამატებითი ვადის დაწესების ან დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება, საჭიროა, რომ ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა იყოს დამთავრებული. თავად დამატებითი შესრულების ვალდებულება ვადამოსულად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მყიდველი აღნიშნულ მოთხოვნას დააყენებს.⁷⁸

ფაქტობრივად, გამოდის რომ დამატებითი ვადის დაწესება შინაარსობრივად წარმოადგენს დამატებითი შესრულებას. მაგალითად, მყიდველის დამატებითი შესრულების მოთხოვნა გამყიდველის მიმართ ვლინდება ან ნაკლის გამოსწორების, ან ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლის მოთხოვნაში. მათი სამართლებრივი შედეგი იდენტურია-მყიდველი იღებს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთს, ანუ ხელშეკრულების შესაბამის შესრულებას.⁷⁹

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებითი შესრულების მოთხოვნის წარმოშობისთვის აუცილებელია, 490-ე მუხლის თანახმად, სახეზე უნდა იყოს ნაკლიანი შესრულება. ვენის ნასყიდობის კოვენციისაგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი, ნაკლი არსებითი იყოს (კონვენციის 46-ე მუხლი).⁸⁰

სსკ-ს 490 მუხლის მსგავსი ჩანაწერია გსკ-ს 439-ე პარაგრაფში. განსხვავება არის მხოლოდ პირველ პუნქტებში. კერძოდ, სსკ-ს 490 (1) ერთმანეთისგან გამოყოფს გვაროვნულ და ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთს და გამყიდველს აძლევს მათ შორის არჩევანის გაკეთების უფლებას. ე.ი. გამყიდველია უფლებამოსილი აირჩიოს დამატებითი შესრულების სახე. მოცემულისგან განსხვავებით გარდა იმისა, რომ გერმანულ მოდელში უშუალოდ არ არის ნახსენები გვაროვნული და ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთები, აქ შესრულების სახეს არჩევს არა გამყიდველი არამედ მყიდველი.⁸¹

⁷⁶ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 329

⁷⁷ Mak V., Performance-oriented Remedies in European Sale of Goods law, Oxford and Portland, Oregon, 2009, 91-92

⁷⁸ ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარი, მუხლი 490, 2016, ველი 12, გვ.3

⁷⁹ იქვე

⁸⁰ იქვე

⁸¹ J. von Staudingers, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einfhrungsgesetz und Nebengesetzen Eckpfeiler des Zivilrechts, Berlin, 2008, 585

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის ულფების გამოყენება პირველ რიგში მყიდველისთვის არის მიზანშეწონილი,⁸² ვინაიდან ამით მას ეძლევა საშუალება მიიღოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელი, რაც, რასაკვირველია, ვალდებულების შეუსრულებლობით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფრო მისაღები უნდა იყოს.

1.1 დამატებითი შესრულების სახეები

როგორც გერმანული ასევე ქართული სამოქალაქო კოდექსი დამატებითი შესრულების ორ სახეს⁸³ იცნობს: ნაკლის გამოსწორებასა და ნივთის ახლით შეცვლას. სსკ-ის მიხედვით, გამყიდველის მიერ დამატებითი შესრულების სახის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, ნივთი ინდივიდუალური ნიშნით არის განსაზღვრული თუ გვაროვნულით (სსკ-ის 490-ე I მუხლი). თუ სახეზე გვაქვს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი შესრულების სახეს ირჩევს გამყიდველი. ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთთან მიმართებით, მისი ხასიათიდან გამომდინარე მყიდველს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ნაკლის გამოსწორების დამატებითი შესრულების მოთხოვნა. ხოლო გსკ-ის მიხედვით, დამატებითი შესრულების სახის არჩევა მყიდველის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული (გსკ-ის 439-ე I პარაგრაფი).⁸⁴ თუნდაც, კეთილსინდისისერების პრინციპიდან გამომდინარე, ამ კუთხით ქართული ნორმის ფორმულირება უფრო მისაღებია ვიდრე გერმანულის. ამ მიმართულებით გერმანული მიდგომა იცავს მყიდველის უფლებას, არ მიიღოს საეჭვო რეპუტაციის და არასანდო გამყიდველისგან ნაკლის გამოსწორების მცდელობები.⁸⁵ მსგავსი მიდგომის მომხრე მეცნიერები ამბობენ, რომ ამ შემთხვევაში მიყიდველმა უნდა გადაწყვიტოს რა უფრო მისაღებია მისთვის, ის რომ მოხდეს ნვთის შეკეთება თუ მისი ახლით შეცვლა.⁸⁶ თუმცა, გათვალისწინებულია აღნიშნული უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების ხერხი. კერძოდ, უმნიშვნელო ნაკლის შემთხვევაში გამყიდველს უფლება აქვს უარი განაცხადოს მყიდველის მიერ უკვე შერჩეულ დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის კონკრეტულ სახეზე.⁸⁷

⁸² Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract, A Comparative Treatise*, Oxford and Portland, Oregon, 2006, 399

⁸³ J. von Staudingers, *Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen* Eckpfeiler des Zivilrechts, Berlin, 2008, 585

⁸⁴ Mak V., *Performance-oriented Remedies in European Sale of Goods law*, Oxford and Portland, Oregon, 2009, 123

⁸⁵ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 330

⁸⁶ Mak V., *Performance-oriented Remedies in European Sale of Goods law*, Oxford and Portland, Oregon, 2009, 128

⁸⁷ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 330

1.1.1 ნაკლის გამოსწორება

ნაკლის გამოსწორებისას მყიდველი ინარჩუნებს ნაყიდ ნივთს და მოითხოვს ნაკლის აღმოფხვრას. არსებობს ნაკლის გამოსწორების რამდენიმე მეთოდი, მაგ. ეს შეიძლება იყოს ნივთის შეკეთება ან შესაკეთებელი ნაწილის ახლით ჩანაცვლება.⁸⁸ ის თუ როგორ გამოსწორებს ნაკლს დამოკიდებულია გამყიდველის სურვილზე. ინგლისური სამართლის მიხედვით ნაკლის გამოსწორება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ნივთი შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ მდგომარეობას.⁸⁹ თუმცა, რა ხდება მაშინ, როდესაც მყიდველს ხელშეკრულებაში ეწერა, რომ სურდა სრულიად ახალი ნივთის მიღება, ნაკლის გამოსწორების შემდეგ ის ხომ ვეღარ დააკმაყოფილებს ხელშეკრულების ამ პირობას? ინგლისური მიდგომის თანახმად, მსგავსი შემთხვევაში სახეზე იქნება დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის ყველანაირი წინაპირობა, თუმცა, ძალიან იშვიათად მაგრამ მაინც არის მოცემულისგან განსხვავებული შემთხვევები (მაგ. როდესაც ავტომობილი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული).⁹⁰ ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია როგორც გვაროვნულ, ასევე ინდივიდუალურ ნივთთან მიმართებით.

1.1.2 ახალი ნივთის მიწოდება

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, გერმანული სამართლის მიხედვით მყიდველი ირჩევს დამატებითი შესრულების სახეს. ახალი ნივთის მიწოდებისას ხდება ნაკლიანი ნივთის გამოცვლა/ჩანაცვლება.⁹¹ ქართული სამოქალაქო კოდექსის მიდგომის თანახმად, მეორადი მოთხოვნის მოცემული სახის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საზღვრა გვაროვნულად განსაზღვრული ნივთი. მსგავსი მიდგომა ჰქონდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსსაც რეფორმის განხორციელებამდე.⁹² რეფორმის შემდგომ დადგინდა, რომ ახალი ნივთის მიწოდება შესაძლებელია ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთთან მიმართებითაც.⁹³

⁸⁸ J. von Staudingers, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einföhrungsgesetz und Nebengesetzen Eckpfeiler des Zivilrechts, Berlin, 2008, 586

⁸⁹ Mak V., Performance-oriented Remedies in European Sale of Goods law, Oxford and Portland, Oregon, 2009, 117

⁹⁰ იქვე.

⁹¹ J. von Staudingers, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einföhrungsgesetz und Nebengesetzen Eckpfeiler des Zivilrechts, Berlin, 2008, 586

⁹² ბაჩიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 174

⁹³ იქვე.

ინგლისის, ჰოლანდიისა და გერმანული სამართლის სისტემების მიხედვით მსგავსი მეორადი მოთხოვნის განხორციელება ხდება მაშინ, როდესაც შესაძლებელია ნივთის ჩანაცვლება.⁹⁴

2. ნაკლის გამოსწორებისთვის ხარჯების განაწილება

სსკ-ს 490-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის „აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები.“ მოცემულ ჩანაწერს შეესაბამება გსკ-ს 439 პარაგრაფის მეორე ნაწილი, რომელიც უნდა ითქვას, რომ ცალსახად გამომდინარეობს კეთილსინდისისერების პრინციპიდან და დამატებითი შესრულების ბუნებიდან.⁹⁵ გერმანული მოდელი ითვალისწინებს გადაზიდვის, გადაყვანის, შრომისა და მასალების ხარჯების ანაზღაურებას.

ზიანი, რომელიც ნივთის გამოუყენებობის გამო წარმოეშვა მყიდველს, ამ მუხლის ფარგლებში არ ანაზღაურდება. ამასთან, გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, თუ მყიდველმა თავად გამოასწორა ნივთის ნაკლი, ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს მოითხოვოს გამყიდველის მიერ დაზოგილი ხარჯების ანაზღაურება⁹⁶ იმ მოცულობით, რაც მყიდველმა გაიღო ნაკლის გამოსწორების მიზნით.

3. გამყიდველის მიერ დამატებითი შესრულებაზე უარის უფლება

სსკ-ს 490 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, გამყიდველს შეუძლია უარი ითქვას დამატებითი შესრულებაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. რამდენად არის ხარჯები შეუსაბამოდ დიდი, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს.

როდესაც სახეზეა ნივთის ნაკლი, დამატებითი შესრულების ფარგლებში გამყიდველს აქვს უფლება აირჩიოს დამატებითი შესრულების სახე, ე.ი გადანყვიტოს ნაკლი გამოასწოროს თუ გვაროვნულად განსაზღვრული ნივთი შეცვალოს ახალი ნივთით. სსკ-ს 490 მუხლი მე-3 ნაწილი გამყიდველს ათავისუფლებს დამატებითი შესრულების ვალდებულებისაგან, მაშინ როდესაც სახეზეა ნაკლიანი შესრულება, დამატებითი

⁹⁴ Mak V., Performance-oriented Remedies in European Sale of Goods law, Oxford and Portland, Oregon, 2009, 118-119

⁹⁵ ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარი, მუხლი 490, 2016, ველი 35, გვ.8

⁹⁶ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 334

შესრულება კი მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. ასეთ დროს არაჯეროვანი შესრულება გარდაიქმება შესრულების შეუძლებლობაში. ლიტერატურაში ასეთი შემთხვევა ასევე მოიხსენიება, როგორც „შესრულების ფაქტობრივად გართულება“.⁹⁷

ესკ ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მდგომარეობას, რა დროსაც გამყიდველი ვალდებულების შესრულებისგან თავისუფლდება. თუმცა, მყიდველს რჩება ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების უფლება.⁹⁸ ინგლისური რეგულაციის თანახმად, როდესაც შეუძლებლობა ხელშეკრულების ძირითად საფუძველს ეხება, მაშინ ავტომატურად ხდება ხელშეკრულების შეწყვეტა.⁹⁹

შეუსაბამოდ დიდი ხარჯები უნდა განვიხილოთ კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებითაც. თუ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ გამყიდველის მიერ დამატებითი შესრულების რომელიმე სახის გამოყენების შემთხვევაში მის მიერ გაღებული ხარჯი იმდენად დიდი აღმოჩნდება, რომ იგი სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან მოვაწინააღმდეგობაში, რასაკვირველია, სახეზე არ გვექნება დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობა.

სსკ-ს 490-ე მუხლის მე-3 ნაწილი არ ითვალისწინებს იმ კრიტერიუმებს, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი გახდება დანახარჯების შეუსაბამობის დადგენა. აქედან გამომდინარე, მსჯელობის საგანია, შეუსაბამობაზე დადგენისას გასათვალისწინებელია მხოლოდ უნაკლო ნივთის ღირებულება, ნაკლის გამო მისი ღირებულების შემცირების მოცულობა, ნაკლის მნიშვნელობა თუ მყიდველის სუბიექტური არაქონებრივი ინტერესიც, რომელიც შესაძლოა ობიექტურად არათანაზომიერი დანახარჯების გაღებას გამყიდველის მხრიდან ამართლებდეს.¹⁰⁰

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ დამატებითი შესრულების ორივე სახის მოთხოვნა შეუძლებელია ან არათანაზომიერ ხარჯებს უკავშირდება, გამყიდველი უნდა გათავისუფლდეს დამატებითი შესრულების ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში მყიდველს ექნება სხვა მეორადი მოთხოვნების გამოყენების შესაძლებლობა, მაგ. ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება ან/და ზინის ანაზღაურება.

4. დამატებითი შესრულების მოთხოვნა ვენის კონვენციის მიხედვით

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 333

⁹⁹ Mak V., Performance-oriented Remedies in European Sale of Goods law, Oxford and Portland, Oregon, 2009, 97

¹⁰⁰ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 330-334

როგორც უკვე ნაშრომში განვიხილეთ, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვსაზღვროთ რომელი მეორადი მოთხოვნაა პრიორიტეტულად გამოსაყენებელი. როგორც წესი, მყიდველებს პირველ რიგში აქვთ დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება.¹⁰¹ ვენის კონვენციის 46 მუხლიდან ვიგებთ, რომ მყიდველს შეუძლია მოსთხოვოს გამყიდველს მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება. თუმცა აღნიშნული მოთხოვნის უფლება მას არ ექნება, თუ მყიდველმა მიმართა სხვა სამართლებრივ ქმედებას, რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება დამატებითი შესრულების მოთხოვნას.

კონვენციის 46 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები წარმოადგენენ სპეციფიურ წესებს შეცვლილ მიწოდებასა და ნაკლის გამოსწორებასთან დაკავშირებით.¹⁰²

ვენის კონვენციით დამატებითი შესრულების მოთხოვნა არის უპირატესად გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნა ისევე, როგორც ეს მოცემულია ქართულ და გერმანულ სამართლებრივ სისტემებში. დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის პარალელურად შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელება კონვენციის 45(2) საფუძველზე.¹⁰³

მნიშვნელოვანია კონვენციის 48 (1;2) მუხლი, რომლის თანახმად გამყიდველს შეუძლია მიწოდების თარიღის შემდეგაც თავისი ხარჯებით გამოასწოროს ნებისმიერი ხარვეზი, თუ, რასაკვირველია, მას შეუძლია განხორციელება არაგონივრული დაყოვნების გარეშე, ამასთან, მოცემულმა ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს მყიდველისთვის არაგონივრული დისკომფორტი ან გაურკვეველობა. თუ გამყიდველი მოითხოვს მყიდველისგან, აცნობოს, მიიღებს თუ არა შესრულებას და მყიდველი არ დაეთანხმება ამ მოთხოვნას გონივრულ ვადაში, გამყიდველს შეუძლია შეასრულოს ვალდებულებები იმ დროის განმავლობაში, რომელიც მოთხოვნაშია მითითებული.

ფაქტობრივად, დამატებითი შესრულების მოთხოვნა მყიდველს აძლევს კიდევ ერთ შესაძლებლობას, რომ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო, გამყიდველს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს ნასყიდობის საფსაური.¹⁰⁴

კონვენციის 46 (1) ნაწილი დამატებითი შესრულების მეორად მოთხოვნას გამორიცხავს მაშინ, როდესაც მყიდველი მიმართავს სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც ეწინააღმდეგება ასეთ მოთხოვნას. ეს საშუალებებია: ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნა (კონვენციის 49), ფასის შემცირება.¹⁰⁵ ევროპული სახელშეკრულებო პრინციპები (PECL) ერთმანეთისაგან განასხვავებს ფულად და არაფულად ვალდებულებების შესრულებას. PECL-ის 9:102-

¹⁰¹ Schlechtriem P., Butler P., UN Law on International Sales, The UN Convention on the International Sale of Goods, Berlin-Heidelberg, 2009, 139

¹⁰² იქვე

¹⁰³ Felemegas J., An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law, Cambridge, 2007, 373

¹⁰⁴ იქვე

¹⁰⁵ იქვე 374

ის თანახმად, მყიდველი მოითხოვს გამყიდველისგან ვალდებულების ნატურით შესრულებას ან ნაკლიანი შესრულების გამოსწორებას.¹⁰⁶ თუმცა, ნატურით შესრულება ვერ განხორციელდება თუ: თუ ვალდებულების შეუსრულებლობა არაკანონიერი ან შეუძლებელია, შესრულებამოვალის მხრიდან არაგონივრულ ძალისხმევას ან შეუსაბამოდ მაღალ ხარჯებს გამოიწვევს, ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია პირადი ხასითის ურთიერთობებზე, დაზარალებულ მხარეს შეუძლია ვალდებულების შესრულება სხვა გზით მიიღოს.¹⁰⁷ ვფიქრობ, მოცემული წრე საკმაოდ ფართოა და ძალიან ზოგადი. PECL-ისგან განსხვავებით CISG-ს თანახმად, მყიდველი მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ გამოიყენებს დამატებითი შესრულების მეორად მოთხოვნას, როდესაც მსგავსი მოთხოვნა „არაგონივრულია ყველა გარემოების გათვალისწინებით (CISG 46(3)), ვფიქრობ, აღნიშნული უფლება უნდა დაკონკრეტდეს საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების შესაბამისად.¹⁰⁸

V. თავი. ხელშეკრულებიდან გასვლა

1. ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი მიმოხილვა ვენის კონვენციის მიხედვით

კონვენციის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად მოცემულია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. მოცემული დანაწესი ანიჭებს მყიდველს, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, რომელიც უნდა გაცხადდეს ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ და კონვენციის 81-ე მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ორმხრივი ვალდებულებების გაქრობას იწვევს.

კონვენციის 49 მუხლის თანახმად, მყიდველს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან თუ სახეზე იქნება ვალდებულების არსებითი დარღვევა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვენის კონვენცია ერთმანეთში ურევს ხელშეკრულების დარღვევასა და შეუსრულებლობას, ამ კუთხით უფრო

¹⁰⁶ იქვე

¹⁰⁷ იხ. PECL, Art. 9:102

¹⁰⁸ იხ. CISG, Art 7

მოსახერხებელი იქნებოდა თუ გამოვიყენებდით დარღვევას.¹⁰⁹ არსებითი დარღვევა თავის მხრივ განმარტებულია კონვენციის 25-ე მუხლში და მოიაზრებს ხელშეკრულების დარღვევას, რომელსაც მოჰყვა მხარისთვის ისეთი ზიანის მიყენება, რომლითაც მხარე მნიშვნელოვანწილად კარგავს იმას, რისი მიღების იმედიც ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნდა. ამასთან, ხელშეკრულებიდან გასვლისთვის საჭიროა კონვენციის 47(1) მუხლით გათვალისწინებული შესრულებისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრა.¹¹⁰ ე.ი. ხელშეკრულების დარღვევის კუთხით ორ კრიტერიუმს ენიჭება ყურადღება: არსებით დარღვევას და წინასწარ განჭვრეტადობას.¹¹¹

ვენის კონვენცია ითვალისწინებს ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხველ გარემოებებსაც. აღნიშნული პირველ რიგში მოცემულია კონვენციის 82 მუხლში, რომლის თანახმადაც მყიდველი კარგავს უფლებას განაცხადოს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ან მოსთხოვოს გამყიდველს საქონლის შეცვლა, თუ შეუძლებელია მიღებული საქონლის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება. კონვენციის 82 მუხლის მეორე ნაწილი კი გამორიცხავს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ წინაპირობას, თუ რესტიტუციის განხორციელება ვერ ხერხდება თავად მყიდველის ბრალით, თუ საქონელი ან საქონლის ნაწილი უვარგისი გახდა ან გაფუჭდა, ასევე თუ საქონელი ან მისი ნაწილი გაიყიდა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ან მოხმარებული იქნა ან გადაკეთდა მყიდველის მიერ ჩვეულებრივი გამოყენების მიზნით მანამ, სანამ იგი აღმოაღწის შეუსაბამობას ან უნდა აღმოეჩინა იგი.¹¹²

კონვენციის 49 მუხლის მეორე ნაწილში კი განხილულია შემთხვევები, როდესაც მყიდველი კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.

ვენის კონვენციის თანახმად, ისევე როგორც ქართულ და გერმანულ სამოქალაქო კოდექსებში, ხელშეკრულებიდან გასვლის დროს ხდება ორმხრივი რესტიტუცია. მხარეების შესრულებას აქვს უკუძალა, შესაბამისად ისინი აბრუნებენ ვალდებულების შესრულებულ ნაწილს. ინგლისური სამართალი ამ კუთხით მოვმავალ შესრულებაზე ამახვილებს ყურადღებას.¹¹³

¹⁰⁹ Bridge M.G., *The International Sale of Goods* third edition, Oxford, Oxford University press, 2013, 566

¹¹⁰ Felemegas J., *An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law*, Cambridge, 2007, 180

¹¹¹ Huber P, Mullis A., *The CISG A new textbook for students and practitioners*, sellier, European law publishers, 2007, 213

¹¹² Huber P, Mullis A., *The CISG A new textbook for students and practitioners*, sellier, European law publishers, 2007, 212

¹¹³ Bridge M.G., *The International Sale of Goods* third edition, Oxford, Oxford University press, 2013, 566

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონვენციის 49 მუხლი ხელშეკრულებიდან გასვლას ითვალისწინებს ორ შემთხვევაში: როდესაც სახეზეა არსებითი დარღვევა (49 (1)ა) ან როდესაც მხარეს განესაზღვრა საქონლის მიწოდებისთვის დამატებითი ვადა და იგი არ ასრულებს მოცემულ ვალდებულებას (49 (1) ბ).¹¹⁴

1.1 ხელშეკრულების არსებითი დარღვევა

როგორც უკვე მრავალჯერ ავღნიშნეთ, ხელშეკრულების არსებითი დარღვევა არის ხელშეკრულებიდან გასვლის ერთერთი წინაპირობა. რა შემთხვევაშია დარღვევა არსებითი არსად არ არის ზუსტად ფორმულირებული, იგი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან უნდა გამოვიდეთ. თუმცა ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია რამდენიმე შემთხვევა, რა დროსაც შესაძლებელია ჩაითვალოს დარღვევა არსებითად. ეს ჩამონათვალი, რასაკვირველია, არ არის ამომწურავი ხასიათის. ეს კრიტერიუმებია: როდესაც ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან იმ მოთხოვნებზე, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც მათ წარმოეშობათ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება;¹¹⁵ კიდევ ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს დარღვევის სერიოზულობა, რაც დამოკიდებულია მყიდველის შეხედულებაზე, ე.ი. იმ ფაქტზე თუ რამდენად მნიშველოვანია მოცემული ვალდებულების შესრულება მყიდველისთვის. მესამე კრიტერიუმს წარმოადგენს გამყიდველის შესაძლებლობა გამოასწოროს პრობლემა, რაც განიხილება კონვენციის 49 (1) და 25 მუხლის კონტექსტში; კიდევ ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულებით მიწოდებული საქონელი გამოსადეგია ჩვეულებრივი სარგებლობისთვის. ამ შემთხვევაში მოიაზრება მაგ, მყიდველის შესაძლებლობა გაყიდოს საქონელი საბაზრო ღირებულებით.¹¹⁶

¹¹⁴ Huber P, Mullis A., The CISG A new textbook for students and practitioners, sellier, European law publishers, 2007, 210

¹¹⁵ მოცემული შეიძლება პირდაპირ გამომდინარეობდეს ხელშეკრულების რომელიმე მუხლიდან ანდა ირიბად ირკვეოდეს რომელიმე ჩანაწერიდან. ძირითადად მსგავს ჩანაწერებში ყურადღება გამახვილებულია კომერციული მიზნებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე.

¹¹⁶ Huber P, Mullis A., The CISG A new textbook for students and practitioners, sellier, European law publishers, 2007, 217-218

1.2 ხელშეკრულების არსებითი დარღვევა UNIDROIT პრინციპების თანახმად

UNIDROIT პრინციპებიც ითვალისწინებს ხელშეკრულებიდან გასვლის რეჟიმს და ეს მაშინ ხდება, როდესაც სახეზეა ვალდებულების არსებითი დარღვევა (7.3.1 მუხლი) ან თუ შესრულებისთვის დამატებით განსაზღვრული ვადის მიუხედავად არ განხორციელებულა ხელშეკრულებით გასაზღვრული საგნის მიწოდება.¹¹⁷ UNIDROIT პრინციპების 7.3.1. მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილია არსებითი შეცდომის რამდენიმე სახე: შემთხვევა, როდესაც შესრულება არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, როდესაც ხდება ხელშეკრულების საგნის არსებითი შეუსრულებლობა, არსებითი დარღვევა, როდესაც შეუსრულებლობა ხდება მხარის განზრახვი ქმედებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა დარღვევის მასშტაბს, ასევე, როდესაც მხარეს ეკარგება ინტერესი სამომავლო შესრულებაზე, როდესაც საზეგა არაპროპორციული დანახარჯი.¹¹⁸

2. გამოსწორების უფლება კონვენციის 48 მუხლის შესაბამისად

საინტერესოა, კონვენციის 48 მუხლი, რომელიც გამყიდველს აძლევს შესაძლებლობას გამოასწოროს ვალდებულების დარღვევა და სრულფასოვნად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება. კერძოდ, გამყიდველს შეუძლია, მიწოდების თარიღის შემდეგაც თავისი ხარჯებით გამოასწოროს ნებისმიერი ხარვეზი, რომლის გამოც ვერ ხდება ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულება, რასაკვირველია, თუ ამით მყიდველი არ ჩავარდება არაგონივრულ დისკომფორტში ან არ გამოიწვევს გაუგებრობას ხარჯების განაწილების მიმართულებით. მუხლშივე (48 (1)) არის დათქმა, რომ აღნიშნული ნორმა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს კონვენციის 49 მუხლთან. თუმცა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ფაქტია, რომ ერთმანეთს უპირისპირდება კონვენციის 48 მუხლით გათვალისწინებული გამყიდველის უფლება და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.¹¹⁹ ამასთან, ნორმებზე დაკვირვებით არ იკვეთება, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა უპირატესია კონვენციის 48 მუხლით

¹¹⁷ Felemegas J., *An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law*, Cambridge, 2007, 180

¹¹⁸ UNCITRAL, *UNCITRAL digest of case law on the United National Convention on the international sale of Goods*, 2016, 253-254

¹¹⁹ Huber P, Mullis A., *The CISG A new textbook for students and practitioners*, sellier, European law publishers, 2007, 217-218

გათვალისწინებულ გამყიდველის მიერ ვალდებულების გამოსწორებაზე.¹²⁰ რაც შეეხება გამყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების სახეს, პირველ რიგში ეს უკანასკნელი უნდა ითვალისწინებდეს მყიდველის ინტერესებს.

გამყიდველმა მყიდველს უნდა აცნობოს, რომ მას სურს კონვენციის 48 მუხლის გამოყენება, ე.ი დარღვეული ვალდებულების გამოსწორება საკუთარი ხარჯებით. კონვენციის 48-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, გამყიდველის მიერ მყიდველის მიმართ თხოვნა ან შეტყობინება არ იქნება სამართლებრივი ძალის მქონე, თუ იგი მყიდველის მიერ არ იქნება მიღებული.¹²¹

right to cure და მეორად მოთხოვნა „დამატებით შესრულებას“ შორის არის მსგავსებები, მათ შორის ის რომ ორივე შემთხვევაში ხდება ნაკლის გამოსწორება ან ნაკლის მქონე საქონლის ახლით ჩანაცვლება. თუმცა, მათ შორის არის შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები: მოხდება თუ არა გამყიდველის მხრიდან ნაკლის გაოსწორება დამოკიდებულია მყიდველის თანხმობაზე, ნაკლის გამოსწორებისას გამყიდველის უფლებები არის შეზღუდული მყიდველის ინტერესებით. ამ მიმართულებით საინტერესოა ის თუ მოცემული ინსტიტუტი რა მიმართებაში შეიძლება იყოს მეორადი მოთხოვნების სტრუქტურასთან. ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რომელი საშუალება არის უფრო ეკონომიური, თუნდაც ფასთან მიმართებით.¹²²

48-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნას („right to cure“) არ იცნობს ბევრი სამართლებრივი სისტემა. მოცემული ინსტიტუტი გვხვდება UNIDROIT პრინციპების 7.1.4 მუხლში,¹²³ საიდანაც ვიგებთ, რომ დამრღვევი მხარე ითხოვს დამატებით ვადას, რათა შეასრულოს ვალდებულება, თუ, რასაკვირველია, მხარე ვალდებულების შესრულებას კონკრეტულ დროს არ უკავშირებს.¹²⁴ მოცემული ინსტიტუტი არ გვხვდება ქართულ სამართალში.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ იქვე.

¹²² Mak V., Performance-oriented Remedies in European Sale of Goods law, Oxford and Portland, Oregon, 2009, 186-189

¹²³ Felemegas J., An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law, Cambridge, 2007, 190

¹²⁴ UNCITRAL, UNCITRAL digest of case law on the United National Convention on the international sale of Goods, 2016, 231-232

3. ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება და დახასიათება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

ხელშეკრულებიდან გასვლა თავის თავში მოიაზრებს ხელშეკრულების გაუქმებას ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით, შესაბამისად არ არის აუცილებელია სახეზე იყოს აქცეპტი,¹²⁵ როგორც მოგვსენებთ, ხელშეკრულებიდან გასვლის უმთავრეს წინაპირობად განსაზღვრულია ვალდებულების დარღვევა.

უცხოურ ლიტერატურაში ვალდებულების არსებითი დარღვევისას მხარე იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. არსებობს მოსაზრება, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის პრინციპთან pacta sunt servanda. რომის სამართალი ამ კუთხით უფრო მკაცრი იყო და იგი საერთოდ არ იცნობდა ხელშეკრულების შეწყვეტის პირობას.¹²⁶

ხელშეკრულებიდან გასვლის დროს მყიდველი, რასაკვირველია, უნდა იაზრებდეს და, ამასთან, უნდა სურდეს ორმხრივი რესტიტუცია. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის მიზანი არის იმ status quo-ს აღდგენა, რომელიც ხელშეკრულების დადებამდე არსებობდა.¹²⁷ მისი ერთ-ერთი თავისებურება იმაშია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება იწვევს ახალი ვალდებულების წარმოშობას. კერძოდ, მხარეებმა ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული შესრულება და სარგებელია ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ.¹²⁸

ამასთან, კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, ხელშეკრულების მხარეს სამოქალაქო კოდექსის 405-ე, 352-359-ე მუხლების საფუძველზე შეძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. თუმცა ეს არ გამოიხატავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის განსხვავებულ პირობებზე.¹²⁹

იურიდიულ დოქტრინაში ვალდებულების დარღვევა განიხილება, როგორც მონვევა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე. ამასთან, თითქმის ყველა სამართლებრივი სისტემა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად არსებით შეუსრულებლობას აცხადებს. სსკ-ს 405-ე III „ა“ მუხლით,

¹²⁵ ჩიტაშვილი ნ., მეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 204, იხ. http://www.library.court.ge/upload/natia_chitashvili.pdf

¹²⁶ Zimmermann R., *The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives*, Oxford, 2012, 67

¹²⁷ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2001.231

¹²⁸ იქვე.

¹²⁹ იქვე

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება მხარეს იმ შემთხვევაში ეძლევა თუ სახეზეა მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევა.¹³⁰ დარღვევა არსებითა თუ არა შეფასებითი კატეგორიაა და უნდა შეფასდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. მსგავის მიდგომა აქვს ვენის ნასყიდობის კონვენციას. ვენის კონვენციისა და ქართული რეგულირებისგან განსხვავებული მიდგომა აქვს დიდ ბრიტანეთს, სადაც ნებისმიერი დარღვევა შეიძლება გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი.¹³¹

ხელშეკრულებიდან გასვლის დროს მნიშვნელოვანია მესამე პირთა უფლებების დაცვა. მესამე პირებში მოიაზრებიან ისინი, ვინც უშუალო შემსებლობაშია ძირითად ხელშეკრულებასთან და წარმოემობათ გარკვეული სახის უფლებები. ხელშეკრულებიდან გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მესამე პირთა წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან.¹³² ეს პირველ რიგში, გამომდინარეობს იქიდან, რომ მესამე პირთა ვალდებულებები წარმოშობილია სრულიად სხვა შეთანხმებიდან.

ხელშეკრულებიდან გასვლა თავისი ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია განხორციელდეს ნაწილობრივ, ე.ი. მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლის უფლება, ვინიდან მოცემული შემთხვევა სრულიად სცილდება ხელშეკრულებიდან გასვლის ძირითად პრინციპებს. ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა, თაქტობრივად, ჩაითვლება ხელშეკრულების შეცვლად.¹³³ სამოქალაქო კოდექსში არის ჩანაწერები, რომლებიც ტერმინოლოგიური კუთხით დაზუსტებას საჭიროებს. ესენია მაგ: „ხელშეკრულებიდან გასვლა“ და „ხელშეკრულების მოშლა“.

3.1 ხელშეკრულებიდან გასვლის განსხვავება ხელშეკრულების მოშლისგან

¹³⁰ იქვე. 440

¹³¹ Michael Bridge, A Law for International Sale of Goods, 37 Hong Kong L.J.17, 2007, 22

¹³² მართალია, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებისას საყურადღებოა ხელშეკრულების მეორე მხარის ინტერესები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია იმ მესამე პირთა უფლებების დაცვა, რომელთაც შეიძლება შეეხოთ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები. რა ხდება, თუ ხელშეკრულების მხარემ მესამე პირს მიყიდა ის ნივთი, რომელიც მან ხელშეკრულებით მიიღო? კანონის თანახმად, მესამე პირი არ არის ვალდებული ეს ნივთი დაუბრუნოს გამსხვისებელს (352-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი).

¹³³ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2001. 232.

გარეგნულად ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა (შენწყვეტა) ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ორივე შემთხვევაში ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა.

მაგრამ, ორივე მათგანს მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა სამართლებრივი კუთხით მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს. რასაკვირველია, სწორი სამართლებრივი შეფასების გასაკეთებლად პირველ რიგში მათი სწორი ტერმინოლოგიური იდენტიფიცირებაა საჭირო.

ამ ორი სამართლებრივი ინსტიტუტის ერთმანეთისგან გამიჯვნა გაგვიმარტივდება, თუ ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ კრიტერიუმებზე: მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი, მოთხოვნის შინაარსი და მოთხოვნის სამართლებრივი შედეგი.¹³⁴

სამაქართველოს სამოქალაქო კოდექსი ტერმინოლოგიური კუთხით არ განასხვავებს ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებაზე უარის (ხელშეკრულებიდან გასვლა) ინსტიტუტებს. ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსში ტერმინი „მოშლა“ მოიხსენიება ხელშეკრულებიდან გასვლიდან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებზე მითითებით.¹³⁵

ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი აისახება მათი მოთხოვნის სამართლებრივ შედეგებში. ხელშეკრულებიდან გასვლის დროს ხდება რესტიტუცია, მხარეებს უკან უბრუნდებათ შესრულება. ხელშეკრულების მოშლის დროს კი არ ხდება უკვე შესრულებულის უკან დაბრუნება, ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ხელშეკრულების მოშლა მოქმედებს გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებთან მიმართებით. რა დროსაც არ არის საკმარისი ერთი მოქმედების განხორციელება მხარეთა მხრიდან, არამედ ასეთი ხელშეკრულებები მოითხოვენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში განგრძობად შესრულებას. შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლის დროს რესტიტუციის მოთხოვნის უფლება თითქმის შეუძლებელი იქნება, ვინაიდან მხარეების მხრიდან შეუსაბამოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მოშლის ფუნქცია ხელშეკრულებიდან გასვლისგან განსხვავებით არა შესრულების შედეგად მიღებული შედეგების უკან დაბრუნება, არამედ შესრულებაზე მომავალში

¹³⁴ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 503.

¹³⁵ იქვე.501

უარის თქმაა.¹³⁶ ხელშეკრულების მოშლა, გულისხმობს ერთ-ერთი მხარის ბრალეული მოქმედების შედეგად სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტას ვადაზე ადრე.

ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობის დროს ხელშეკრულების მოშლა ასრულებს ხელშეკრულებიდან გასვლის ფუნქციას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოვალე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მაგრამ ეს იწვევს არა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრებას.¹³⁷ მოცემულის საპირისპიროდ, გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულებიდან გასვლა, მაგრამ მხოლოდ მომავალში მისაწოდებელ საქონელთან მიმართებაში.¹³⁸

იმისათვის, რომ მხარეს სსკ-ის 399-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა წარმოეშვას აუცილებელია, რომ სახეზე იყოს გრძელვადიანი¹³⁹ სახელშეკრულებო ურთიერთობა და პატივსადები მიზეზი, რომლის არსებობისას მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება და არც ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაცვა.¹⁴⁰

იმ შემთხვევაში თუ ტერმინი „მოშლა“ შეიცვლება „გასვლით“ უფრო სრულყოფილად გამოიკვეთება ნორმის შინაარსი. მოცემული ცვლილება სასურველია, პირველ რიგში იქიდან გამომდინარე, რომ სსკ-ის 491-ე მუხლი მიუთითებს სსკ-ის 352-ე მუხლზე, რომელიც ეხება ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრვ შედეგებს.

3.2 ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები

¹³⁶ მაჭარაძე მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 23

¹³⁷ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2001. 234

¹³⁸ იქვე

¹³⁹ ცნება „გრძელვადიანი ურთიერთობა“ შემდეგი ნიშნით ხასიათდება: გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში მხარეებს განგრძობითად წარმოემოხაზებათ გარკვეული ვალდებულებები ისე, რომ შესასრულებელი ვალდებულების შინაარსობრივი ფარგლები წინასწარ არ არის განსაზღვრული. გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობათა რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად: გირავნობა, იჯარა, ლიზინგი, დაზღვევა, იურიდიული პირის დაფუძნების ხელშეკრულება, ერთობრივი საქმიანობა.

¹⁴⁰ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 68, იხ. http://www.library.court.ge/upload/sofio_chachava.pdf (17.06.2019)

სსკ-ის 491-ე მუხლში გათვალისწინებულია ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლთან მიმართებით, ვინიდან იგი წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგად ნორმას.¹⁴¹ სსკ-ს 491-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოსვლა 352-ე მუხლის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ მიუთითებს 405 ნორმაზე. სსკ-ს 405 მუხლი დეტალურად აწესრიგებს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობებსა და გამონაკლისებს, ისევე, როგორც აღნიშნული უფლების წარმოშობის დამაბრკოლებელ გარემოებებს.

პირველ რიგში, მიზანშეწონილია ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების განსაზღვრა. სსკ-ს 405 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებაზე უარის თქმა ხელშეკრულების მონაწილე მხარის მიერ დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაქტის არღვევს ნაკისრ ვალდებულებას. კანონი არ მიიჩნევს სავალდებულოდ მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ბრალეულ დარღვევას. საკმარისია სახეზე იყოს დარღვევის ფაქტი.¹⁴²

ამასთან, მხოლოდ ვალდებულების დარღვევის ფაქტის არსებობა არ არის საკმარისი, საჭიროა დარღვევა იყოს არსებითი. აღნიშნული გამომდინარეობს, სსკ-ს 405-ე მე-3 „ა“ ქვეპუნქტიდან, საიდანაც ვიგებთ, რომ ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. თუმცა, ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი შეიძლება გახდეს ვალდებულების ნაწილობრივი დარღვევაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დარჩენილი ნაწილის შესრულებამ კრედიტორისთვის აზრი დაკარგა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა ვერ იქნება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი. არსებითია თუ არა დარღვევა, რა თქმა უნდა, შეფასების კატეგორიაა.

ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი შეიძლება ასევე იყოს ის შემთხვევა, როდესაც „გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ ამკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ“ (სსკ-398 I). გარემოების შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც გახდა ხელშეკრულების დადების საფუძველი, რეალურად არასწორი აღმოჩნდა (398 II).¹⁴³ ამ შემთხვევაში მხარეებმა უნდა სცადონ სსკ-ს 398 მუხლიდან გამომდინარე, ხელშეკრულების

¹⁴¹ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 67, იხ. http://www.library.court.ge/upload/sofio_chachava.pdf (17.06.2019)

¹⁴² ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 506

¹⁴³ იქვე. 506.

მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან. თუ ეს ვერ მოხერხდა, მხარემ რომლის ინტერესებიც დაირღვა, უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე.¹⁴⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასახელოთ ხელშეკრულებიდან გასვლის ძირითადი საფუძვლები: ვალდებულების არსებითი დარღვევა, დამატებითი ვადა(გათვრთხილება), შეტყობინება, ხელშეკრულებიდან გასვლის გამორიცხვის დაუშვებლობა;¹⁴⁵

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ხელშეკრულებიდან გასვლასთან მიმართებით

სსკ, ისევე, როგორც გსკ, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას უკავშირებს არსებით დარღვევას. არსებითა თუ არა დარღვევა შეფასების საკითხია და ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან უნდა გამოვიდეთ. შესაბამისად, ხელშეკრულების დარღვევისას, პირველ რიგში, უნდა გაირვეს, არის თუ არა დარღვევა არსებითი. სწორედ, მოცემული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში ეძლევა მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მოითხოვოს უფლება.

რა ჩაითვლება არსებით დარღვევად? სსკ-ის 405-ე III(ა) მუხლით განმარტებულია, რომ ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. აქედან გამომდინარეობს, რომ თუნდაც დამატებითი ვადა უშედეგოდ გავიდეს, მხარე ვერ გავა ხელშეკრულებიდან, თუკი დარღვევა უმნიშვნელოა.

¹⁴⁴ მისადაგების შეუძლებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის სპეციფიკური საფუძველია. ამ შემთხვევაში გასვლის უფლება წარმოიშობა არა ვალდებულების დარღვევიდან, არამედ მდგომარეობის ობიექტური ცვლილების შედეგად. ობიექტური ცვლილება გულისხმობს იმას, რომ მისი გამომწვევი ფაქტორები არ ექვემდებარება ხელშეკრულების მხარეების კონტროლს და ხდება მათი ნებისაგან დამოუკიდებლად.

¹⁴⁵ ბაჩიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 180

“არსებითად ჩაითვლება ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც სერიოზულობის განსაზღვრულ დონეს აღწევს და მნიშვნელოვნად ხელყოფს კრედიტორის მოსალოდნელ სახელშეკრულებო ინტერესს.”¹⁴⁶

ვალდებულების არსებით დარღვევად ჩაითვლება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება, როდესაც კრედიტორი ვალდებულების შესრულებას დროის მკაცრად განსაზღვრულ მონაკვეთს უკავშირებს. ვინაიდან, მისთვის ვადის გადაცილების გამო შესრულებამ და, საერთოდ, ხელშეკრულებამ დაკარგა ინტერესი.

ევროპული პრინციპები განსაზღვრავს (PECL) არსებითი შეუსრულებლობის სამ შემთხვევას: ¹⁴⁷ ა) როდესაც ხელშეკრულების ზუსტად შესრულება მხარეთა შეთანხმებული პირობა იყო; ბ) როდესაც შეუსრულებლობის შედეგად მხარე სრულიად კარგავს ინტერესს ხელშეკრულების შესრულების მიმართ; გ) როდესაც ვალდებულების დარღვევა მხარის განზრახვი მოქმედების შედეგია, რის გამოც კრედიტორი ვერ დაეყრდნობა მოვალის სამომავლო შესრულებას;

3.4 ვადის დაწესება დამატებითი შესრულებისთვის.

უმრავლეს სამართლებრივ სისტემაში ხელშეკრულებიდან გასვლამდე მხარეებმა ყველანაირი ღონე უნდა იხმარონ ხელშეკრულების გადასარჩენად, აღნიშნულს ემსახურება სწორედ დამატებითი ვადის დაწესება. თუმცა, არის შემთხვევები როდესაც დამატებითი ვადის დაწესება არ არის საჭირო. შეუძლებლობის შემთხვევებია მოცემული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 326 პარაგრაფში და PECL-ის 9:303 (5) ნაწილიში,¹⁴⁸ რომელთა თანახმადაც პატივსადები მიზეზების არსებობის შემთხვევაში არ არის საჭირო დამატებითი ვადის განსაზღვრა.

როგორც გსკ-ის 323-ე პარაგრაფი, ისე სსკ-ის 405-ე მუხლი ხელშეკრულებისდან გასვლის უფლების გამოყენების წინაპირობად დამატებითი ვადის (Nachfrist) დაწესებას განიხილავს.¹⁴⁹ მხოლოდ დაწესებული ვადის უშედეგოდ ამონურვა აძლევს კრედიტორს უფლებას,

¹⁴⁶ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2016, იხ. http://www.library.court.ge/upload/natia_chitashvili.pdf (17.06.2019).

¹⁴⁷ იქვე. 206 გვ.

¹⁴⁸ Zimmermann R., *The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives*, Oxford, 2012, 69

¹⁴⁹ მაჭარაძე მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 134

უარი თქვას ხელშეკრულებაზე. არსებობს შემთხვევებიც, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება დამატებითი ვადის დაწესების გარეშე. აღნიშნულს, წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევები.

სსკ-ს 405 I მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე. აღნიშნული პირველ რიგში ემსახურება ხელშეკრულების შესრულების მიზანს. შესაბამისად, კანონი უდგენს ხელშეკრულებიდან გასვლის მსურველ მხარეს ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის ვალდებულებას. ვადა უნდა იყოს გონივრული. დამატებითი ვადის დაწესება შესაძლებელია როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით.¹⁵⁰

დამატებითი ვადის დაწესების წერილობითი ფორმის მიმართ კანონი არ ადგენს სავალდებულო რეკვიზიტებს. შეტყობინების ფუნქციიდან გამომდინარე, სასაურველია, რომ იგი შეიცავდეს მითითებას მხარეებზე, ხელშეკრულებაზე, ერთ-ერთი მხარის მიერ მეორისათვის დაწესებულ ვადაზე. შესაძლებელია, შეტყობინება შეიცავდეს მითითებას მხოლოდ 352-405-ე მუხლებზე. მთავარ პრინციპს მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ შეტყობინებიდან ცალსახად უნდა ირკვეოდეს, რომ იგი ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს უდგენს დამატებით ვადას ვალდებულების შესასრულებლად, ამასთან, ვადა აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული ან გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლებელი იყოს მისი განსაზღვრა.¹⁵¹

ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება, არც კი გამოიყენებოდეს დამატებითი ვადები. ასეთ შემთხვევაში დამატებითი ვადის განსაზღვრას უთააბრდება გაფრთხილება. მისი თავისებურება იმაშია, რომ კრედიტორი არ განუსაზღვრავს მოვალეს დარღვევის გამოსწორების ვადას.¹⁵² ამ შემთხვევაში საჭიროა სახეზე იყოს მხოლოდ გაფრთხილება ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით.

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 508

¹⁵² ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2001. 436

3.4.1 დამატებითი ვადის დაწესების გამომრიცხველი გარემოებები

სსკ-405 II-ე პუნქტში ჩამოწერილი ის წინაპირობები, რა დროსაც აუცილებელი არ არის დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება.

ეს წინაპირობებია:

ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება; ე.ი. ცხადია, რომ დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება უშედეგოდ ჩაივლის. მსგავს საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ მაგ. მოვალის ვალაუვალობა, გაკოტრება, ანდა რაიმე მის პირად თვისებებთან დაკავშირებული გარემოებანი, მაგ. მწერალი რომელმაც იკისრა ვალდებულება გარკვეულ ვადაში შეექმნა თეატრალური ნაწარმოები, მაგრამ სულიერი ავადმყოფობის გამო ვერ მოახერხა დროულად შესრულება.¹⁵³

ბ) გაფრთხილება არასავალდებულოა, თუ შესრულების თარიღი კალენდარულად არის განსაზღვრული. ამ დანაწესის გაგებით შესრულების თარიღის განსაზღვა აუცილებლად უნდა მოხდეს წინასწარ¹⁵⁴, მაგრამ შეთანხმებულ დღეს ვერ შესრულდა ვალდებულება. მაგ. დაბადებისდღისთვის შეკვეთილი ტორტის დროულად მიუწოდებლობა.

გ) განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა- მხარეებისთვის მისაღებია სახელშეკრულებო ურთიერთობების მოშლა. მოშლის საფუძველს წარმოადგენს ორმხრივი ინტერესი, რომელიც უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ. ხელშეკრულებიდან გასვლის ორმხრივი ინტერესის არსებობა გულისხმობს, რომ მხარეებისათვის სასაურველი შედეგი ხელშეკრულებიდან გასვლაა. შესაბამისად, დამატებითი ვადის დადგენის აუცილებლობა არ არსებობს.

3.5 ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა

კანონით ზუსტადაა გათვალისწინებული ის შემთხვევები, როდესაც დაუშვებელია ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის გამოყენება.

¹⁵³ იქვე. გვ. 439.

¹⁵⁴ *Heinrichs*, in Palandt, 68. Aufl. 2009, § 268 Rn. 22.

ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია მხოლოდ კანონით დადგენილი შემთხვევების არსებობისას და მათ გარდა სხვა ნებისმიერი შემთხვევა არ შეიძლება განხილულ იქნეს ხელშეკრულებიდან გასვლის დამაბრკოლებელ საფუძვლად. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობის შემთხვევები მოცემულია სსკ-ს 405-ე მუხლის მე-3 ნაწილში, ესენია:

ა) ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა- აღნიშნული მოცემულია გსკ-ის 323-ე V პარაგრაფის მე-2 ქვეპუნქტშიც. იგი შეფასების კატეგორიაა, შესაბამისად მთლიანად სასამართლოს მსჯელობის საგანია;

ბ) დარღვეულია 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და , ამის მიუხედავად, კრედიტორს შეუძლია მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება- სსკ-სი 316 II მუხლი ითვალსწინებს განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულებას ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე მხარის ქონების მიმართ.

გ) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი- სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს წარმოადგენს ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ბრალეული დარღვევა და სწორედ ეს გარემოება შეიძლება გახდეს დაზარალებული მხარის მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი. ანალოგიური წესი ვრცელდება ხელშეკრულებიდან გასვლაზეც. შესაბამისად, თუკი ხელშეკრულების გასვლაზე მოთხოვნის უფლების მქონე პირს თავად მიუძღვის ბრალი ვალდებულების დარღვევაში, მას ერთმევა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.

დ) მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ;

3.6 ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები

ქართული სამართლის მიხედვით ხელშეკრულებიდან გასვლას შეიძლება მოჰყვეს შემდეგი სამართლებრივი შედეგი:

-მხარეთა მიერ მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნება, იგივე ნატურით დაბრუნება;

- ფულადი ანაზღაურება ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში;

-ზიანის ანაზღაურება;

ვენის კონვენცია რესტიტუციასთან მიმართებით გამოყოფს ორ შემთხვევას, პირველი-როდესაც ვალდებულებები ჯერ არ არის შესრულებული (81(1)მუხლი) და მეორე შემთხვევაა, როდესაც ვალდებულების ნაწილი უკვე შესრულებულია.¹⁵⁵

გერმანული სამართლის მიხედვით რესტიტუცია სამ ეტაპად ხორციელდება. პირველი ეტაპია ნატურით დაბრუნება (346-ე პირველი პარაგრაფით), მეორე- შესრულებულის ღირებულების ანაზღაურება (346-ე მეორე პარაგრაფით) და მესამე შემთხვევა როდესაც ფულადი კომპენსაცია სრულებით გამოირიცხულია.¹⁵⁶

3.6.1 ნატურით დაბრუნება

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ორივე მხარე თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან და ეკისრებათ ორმხრივი რესტიტუცია,რის საფუძველზეც ვალდებული არიან, ერთმანეთს დაუბრუნონ უკვე განხორციელებული შესრულება. ნატურით დაბრუნება გულისხმობს ფაქტობრივად მიღებული შესრულების დაბრუნებას, ზუსტად იმ საგნის, რომელიც ერთმა მხარემ ხელშეკრულების შესაბამისად მიიღო მეორე მხარისაგან. თუ არსებული გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებელია ნატურით დაბრუნება, მაშინ შესაძლებელია მისი ფულადი კომპენსაციით ჩანაცვლება. შესაბამისად, ფულადი კომპენსაცია გამოიყენება მხოლოდ ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში.

¹⁵⁵ Huber P, Mullis A., The CISG A new textbook for students and practitioners, sellier, European law publishers, 2007, 244

¹⁵⁶ Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract-A Comparative Treatise, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 432-433. ციტირებულია: ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მონესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008.

3.6.2 ფულადი ანაზღაურება

სსკ-ს 352-ე II მუხლი და გსკ-ის 346-ე II პარაგრაფი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, რა დროსაც ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება, ეს შემთხვევებია, როდესაც :

- ა) შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება;
- ბ) მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს;
- გ) მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა; სათანადო გამოყენებით გამონვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.

3.6.3 ზიანის ანაზღაურება

სსკ-ს 352-ე V მუხლის შესაბამისად, ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება 394-ე მუხლით დადგენილი წესით. 394 I მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამონვეული ზიანის ანაზღაურება. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გულისხმობს პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას.

ამრიგად, ხელშეკრულებიდან გასვლა და ამის შედეგად „შესრულებისა და სარგებლის მხარეებისათვის დაბრუნება“ არ ათავისუფლებს მოვალეს ხელშეკრულების დარღვევით გამონეული ზიანის ანაზღაურებისგან.¹⁵⁷

¹⁵⁷ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2001. 250

VI თავი.

1. ფასის შემცირება

ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლება რომელიც სამართლის ინსტიტუტიდან - action quanti minoris- იღებს სათავეს, რომელიც მყიდველს ხელშეკრულების შენარჩუნების მიზნით სარჩელის წარდგენისა და სახელშეკრულებო ფასის მოდიფიცირების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს.¹⁵⁸

სსკ-ს 492-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისთვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულებიდან გასვლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. ფასის შემცირება განიხილება პრიორიტეტულად, ვინაიდან ხელშეკრულებიდან გასვლასთან შედარებით უფრო მსუბუქი ზომაა და გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორს კვლავ აინტერესებს ნასყიდობის საგანი. აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტი გულისხმობს ფასის იმ ოდენობამდე დაკლებას, რა ოდენობამდეც ამცირებს ნასყიდობის საგნის ღირებულებას ის ნაკლი, რომელიც ფიქსირდება ხელშეკრულების დადების დროს.

ფასის შემცირების ინსტიტუტი მოცემულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 441 პარაგრაფში, რომელიც მოიაზრებს ნაკლიანი ნივთის მიმართ მყიდველის ინტერესის არსებობის შემთხვევაში ფასის შემცირებას. შესაბამისად, სახეზე გვაქვს აღმჭურველი (რეგულაციური) უფლება.¹⁵⁹ გერმანულ და ქართულ სამოქალაქო კოდექსს მსგავსი მიდგომა აქვს ფასის შემცირებასთან მიმართებით. კერძოდ, ისევე როგორც ხელშეკრულებიდან გასვლისას ფასის შემცირების შემთხვევაშიც არ არის აუცილებელი ბრალის არსებობა. მყიდველს, რა საკვირველია, უფლება აქვს თავად გააკეთოს არჩევანი ხელშეკრულებიდან გასვლასა და ფასის შემცირებას შორის. ამასთან, ორივე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში, ხელშეკრულებიდან გასვლისგან განსხვავებით ფასის შემცირების მოთხოვნის წარმოშობისთვის არ არის საჭირო მნიშვნელოვანი დარღვევის არსებობა.¹⁶⁰ ამასთან, აღნიშნული მოთხოვნის უფლება აღიარებული და გავრცელებულია ევროპულ კერძო სამართალში. ევროპული პრინციპებისგან განსხვავებით ფასის შემცირება,

¹⁵⁸ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 183, იხ. http://www.library.court.ge/upload/natia_chitashvili.pdf (17.06.2019)

¹⁵⁹ კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 336

¹⁶⁰ იქვე

როგორც მეორადი მოთხოვნის უფლება, არ არის გათვალისწინებული უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებით.¹⁶¹

BGB-ს 441 პარაგრაფის მე-3 ნაწილის თანახმად, ფასის შემცირების შემთხვევაში, ნასყიდობის ფასი უნდა შემცირდეს იმ პროპორციით, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის უნაკლო ნივთის ღირებულებას რეალურ ღირებულებასთან მიმართებით ეყენებოდა. საზღაურის შემცირებაზე საუბარი 638 პარაგრაფშიც, რომელიც ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმაა.¹⁶²

1.1 ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელების წინაპირობები

სსკ ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში არ ითვალისწინებს ფასის შემცირების მოთხოვნას, ის ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამის თავშია განმტკიცებული. თუმცა, ფასის შემცირების მოთხოვნა არ შეიძლება მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებას მიემართებოდეს, იგი ყველა დანარჩენ მეორადი მოთხოვნის უფლებების მსგავსად, რეკლამენტირებული უნდა იყოს ზოგადი ნაწილით და შესაბამისად-კერძო ნაწილით მოწესრიგებული ინსტიტუტების მიმართ გამოყენებადი.

სსკ-491-ე მუხლში გათვალისწინებულია ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა, თუმცა იგი განხილულ უნდა იქნეს სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლთან, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგად მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებთან ერთობლიობაში.¹⁶³ მოგეხსენებათ, ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობები და აღნიშნული უფლების წარმოშობის დამაბრკოლებელი გარემოებები მოცემულია სსკ-ს 405-ე მუხლში. სსკ-ის 491-ე მუხლი გამოდის, რომ არის სპეციფიური ნორმა, თუმცა, ამავე დროს, იგი ერთგვარი დამხმარე მოთხოვნის საფუძველია, ვინაიდან მყიდველისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემის შემთხვევაში სსკ-ის 352-ე მუხლზე მიუთითებს. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ, სსკ-ის 405-ე და 491-ე მუხლების წინაპირობების

¹⁶¹ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 184, იხ. http://www.library.court.ge/upload/natia_chitashvili.pdf (17.06.2019)

¹⁶² Zimmermann R., The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives, Oxford, 2012, 71

¹⁶³ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 67, იხ. http://www.library.court.ge/upload/sofio_chachava.pdf (17.06.2019)

არსებობისას წარმოშობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლებას.¹⁶⁴

ფასის შემცირების მოთხოვნასთან მიმართებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფუნდამენტური დარღვევა ფასის შემცირების მოთხოვნის ამოქმედების წინაპირობად არ განიხილება. გერმანული მონესრიგება პირდაპირ მიუთითებს, რომ ვალდებულების არაარსებითი დარღვევა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხველი საფუძველი, არ ვრცელდება ფასის შემცირების მოთხოვნის მიმართ. (მდრ.გსკ-ის 441 I 2, 323 V 2).¹⁶⁵

სსკ-ის 492-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას, გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლად, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არსებული ფასი. აღნიშნული მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მოთხოვნები თანაბრად ხელმისაწვდომია მხარისათვის ყოველგვარი თანმიმდევრობის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მყიდველი ნაკლიანი ნივთის მიღების შემდეგ არ მოითხოვს არც ნაკლის გამოსწორებას ან ნაკლიანი ნივთის შეცვლას უნაკლო ნივთით, და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოსთხოვოს გამყიდველს ნასყიდობის საგნის ფასის შემცირება. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც მყიდველს კვლავაც გააჩნია ინტერესი ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის მიმართ, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ნაკლის შესაბამისად აღნიშნული ნივთის ფასი შემცირდება.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მეორადი მოთხოვნის უფლება არის სპეციფიკური და მისი ამოქმედების სფერო შემოიფარგლება იმ ხელშეკრულებებში, სადაც საპასუხო შესრულებად ფულადი ანაზღაურებაა მოცემული.¹⁶⁶

2. ფასის შემცირება

ნასყიდობის ფასის მოთხოვნის მიმართ გამოიყენება ფასის შემცირების შესაგებელი (კონვენციის 50-ე მუხლი) ნაკლოვანი ნივთის ღირებულების უნაკლო ნივთის ღირებულებასთან მიმართების პროპორციულად. თუმცა

¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარი, მუხლი 490, 2016, ველი 16-17 გვ.5.

¹⁶⁶ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, უურნ. „ ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2004, 56

ნასყიდობის ფასის შემცირება ხდება ნაკლოვანი და უნაკლო ნივთის ობიექტურ ღირებულებებში სხვაობის შესაბამისად¹⁶⁷.

მყიდველს შეიძლება ჰქონდეს ნასყიდობის ფასის შემცირების უფლება გსკ-ის 441-ე პარაგრაფების (სსკ-ის 477-ე, 492-ე მუხლების) შესაბამისად. გერმანულ და ქართულ სამართალშიც, ისევე, როგორც საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ კონვენციის მიხედვით, ფასის შემცირებისათვის გადამწყვეტია ნივთის ობიექტური ღირებულება.

ფასის შემცირების მოთხოვნაა გათვალისწინებული PECL 9:401,¹⁶⁸ რომლის თანახმად მხარეს, რომელიც არაჯეროვან შესრულებას იღებს, შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება. ამასთან, „შემცირება უნდა იყოს ჯეროვანი და განხორციელებული შესრულების ღირებულების პროპორციული.“

ფასის შემცირება მყიდველისთვის არის უფრო მოსახერხებელი იმ შემთხვევაში, თუ მას არ სურს ხელშეკრულებიდან გასვლა. ამასთან, აღნიშნული მეორად მოთხოვნასთან მიმართებით არ არის აუცილებელი სახეზე იყოს ბრალი. გერმანული სამართლის მიხედვით მყიდველმა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლისას, ასევე ფასის შემცირებისას უნდა განუსაზღვროს მოვალეს დამატებითი ვადა შესრულებისთვის (441 I, 440, 437 No 2, 323 პარაგრაფები).¹⁶⁹

3. ფასის შემცირებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ურთიერთმიმართება

სანამ მხარე ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას აამოქმედებს, კრედიტორი ვალდებულია მიმართოს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებას იმ პირობით, თუ სახეზე არ არის დამატებითი შესრულების გამომრიცხავი საფუძვლები. აღნიშნული განპირობებულია კონტინენტური სამართლის სისტემის კონცეფტუალური მიდგომით, რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების შესრულებაზე.¹⁷⁰

¹⁶⁷ PILTZ, Internationales Kaufrecht, § 5 Rn. 354.

¹⁶⁸ Zimmermann R., The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives, Oxford, 2012, 71

¹⁶⁹ იქვე

¹⁷⁰ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 186, იხ. http://www.library.court.ge/upload/natia_chitashvili.pdf (17.06.2019)

ზემოააღნიშნული გულისხმობს, რომ დამატებითი შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად იქნეს განხილული, რამდენადაც აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების მიზანს ემსახურება.

ფასის შემცირება დამატებითი შესრულების ალტერნატიული მეორადი მოთხოვნის უფლებად შესაძლებელია იქნეს განმარტებული. ამასთან, ფასის შემცირების განხილვა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან იგი დამატებითი შესრულებისგან განსხვავებით, ვერ უზრუნველყოფს კრედიტორისთვის თავდაპირველი შესრულების ინტერესის რეალიზებას. ამდენად, ფასის შემცირების გამოყენება შესაბამისი წინაპირობების არსებობისას კრედიტორის ნებასურვილზეა დამოკიდებული.¹⁷¹ ზემოააღნიშნულიდან გამომდინარე, ფასის შემცირების მოთხოვნა სსკ-ის 492-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების გასვლის ალტერნატიული მოთხოვნაა. კერძოდ, მყიდველი, რომელიც სსკ-ის 491-ე, 405-ე და 352-ე მუხლების მიხედვით ითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლას, ასევე უფლებამოსილია მოითხოვოს ფასის შემცირება. შესაბამისად, ფასის შემცირების შესახებ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 492, 492-ე, 405-ე მუხლების ერთობლიობაა.

VII თავი

1. ზიანის ანაზღაურება

ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას. სწორედ, აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობა წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას. ვალდებულების დარღვევას შესაძლებელია მოჰყვეს მოვალის პასუხისმგებლობა. ქონებრივი პასუხისმგებლობის მოვალზე დასაკისრებლად საჭიროა სახეზე გვექონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა, რომელსაც ქმნის სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა.¹⁷² მოცემული შემადგენლობის ელემენტებია:

1. მართლწინააღმდეგობა;
2. ზინი;
3. მიზეზობრივი კავშირი;
4. ბრალი;

¹⁷¹ იქვე. 187

¹⁷² ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2001. 364

თანამედროვე დოქტრინაში ერთმანეთისგან იმიჯნება, ერთი მხრივ, შესრულების ნაცვლად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც, როგორც წესი, ალტერნატიული მოთხოვნაა ხელშეკრულებიდან გასვლასა და ფასის შემცირების მოთხოვნებთან მიმართებით და, მეორე მხრივ, ე.წ. ჩვეულებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მიმართ არსებული ინტერესის მიუხედავად. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია განხორციელდეს მათ შორის დამატებითი შესრულების მოთხოვნის პროპორციულად.¹⁷³ ამასთან, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისაგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც წესი, წარმოიშობა მხოლოდ კრედიტორის მიერ მოვალისათვის დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კი დამოუკიდებელი მოთხოვნაა და მისი სხვა მოთხოვნებთან ერთად განხორციელება დაუშვებელია.¹⁷⁴

სსკ-ს 394 მუხლი თანახმად, კრედიტორს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ მოვალემ დაარღვია ნაკისრი ვალდებულება. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის.

გერმანული იურიდიული დოქტრინა, რომლის არგაზიარების საფუძველიც საქართველოში არ არსებობს, ხელმძღვანელობს ზიანის ე. წ. ნატურალური ცნებით.¹⁷⁵ მის თანახმად ზიანი არის ნებისმიერი არანებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი, რაც გამონწვეულია აქტივების შემცირებით ან პასივების ზრდით (*damnum emergens*), ასევე შემოსავლის მიუღებლობით (*lucrum cessans*).¹⁷⁶ ამ გაგებით ზიანი უპირისპირდება დანახარჯებს, როგორც ნებაყოფლობით ქონებრივ მსხვერპლს, თუმცა ზიანის ცნება მოიცავს ასევე ხარჯებსაც, რისი განწევაც უხდება დაზარალებულს სხვა უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის დაზიანების თავიდან აცილების ან ზიანის ოდენობის შემცირების მიზნით.¹⁷⁷ ამგვარი დანახარჯი საბოლოო ჯამში მაინც ზიანის დადგომის საფრთხით არის განპირობებული და ვერ ჩაითვლება ნებაყოფლობით

¹⁷³ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 60, იხ. http://www.library.court.ge/upload/sofio_chachava.pdf (17.06.2019)

¹⁷⁴ იქვე 61-გვ.

¹⁷⁵ *Looschelders, Schuldrecht Allgemeiner Teil*, 9. Aufl., München 2011, 301.

¹⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 10 ოქტომბრის № ას-342-694-07 განჩინება; *ძლიერიშვილი*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ადვოკატი № 2/2013, 31-ე და მომდევნო გვერდები; *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 237.

¹⁷⁷ *Looschelders, Schuldrecht Allgemeiner Teil*, 9. Aufl., München 2011, 301.

განეულად.¹⁷⁸ დანახარჯების ზიანად დაკვალიფიცირებისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ ისინი საღად მოაზროვნე პირის თვალსაწიერიდან, დაზარალებულის მდგომარეობის გათვალისწინებით, ზიანის პრევენციის აუცილებელ ზომად წარმოჩნდეს.

1.2 წინაპირობები და შემადგენლობა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემადგენლობას, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს: მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

მართლწინააღმდეგობა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. ამასთან, მოვალე ბრლაეულად დაარღვევს თავის ვალდებულებას, თუ ბრალის გარეშე, ვალდებულების დარღვევა მაინც მართლსაწინააღმდეგო იქნება.

მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად უნდა წარმოიშვას ზიანი. ბუნებრივია, ზიანის წარმოშობის გარეშე ზიანის ანაზღაურებას ვერ მოვითხოვთ. ამასთან, კერძო სამართალი იცნობს, როგორც სახელშეკრულებო, ასევე არასახელშეკრულებო ზიანს, რაც განისაზღვრება ვალდებულების დარღვევისა და დაზიანებული სიკეთის სახეობის მიხედვით. სამოქალაქო სამართალში განიხილავენ ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს, აღნიშნული დამოკიდებულია ობიექტზე, რომელსაც მიაღება ზიანი არის მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე.¹⁷⁹ სამოქალაქო კოდექსი იცნობს საკომპენსაციო და მორატორიულ ზიანს,¹⁸⁰ რეალურ ზიანსა და მიუღებელ შემოსავლებს, პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანს და ა.შ.

ე.ი. როგორც წესი, ზიანის მიყენება ხდება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით. ამასთან, სამოქალაქო სამართალი იცნობს მართლზომიერი მოქმედებით მიყენებულ ზიანსაც. ამ შემთხვევაში პირი არავითარ სამართლებრივ ვალდებულებას არ არღვევს. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინ როდესაც სახეზა აუცილებელი მოგერიება (116 მუხლი), უკიდურესი აუცილებლობა (117-ე მუხლი), თვითდახმარება (118-ე მუხლი).¹⁸¹

¹⁷⁸ *Heinrichs*, in Palandt, 68. Aufl. 2009, Vorbem. § 249 Rn. 4.

¹⁷⁹ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2004, 57

¹⁸⁰ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2001. 368

¹⁸¹ იქვე. 366.

იმისათვის, რომ საზღვრე იყოს ზიანის ანაზღაურების წინაპირობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს (ზიანს) შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

რაც შეეხება ბრალს, ამ ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისთვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნის დაცვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როგორც სახელშეკრულებო ისე არასახელშეკრულებო სამართალში ცნობილია ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ინსტიტუტი.

საინტერესოა, ის ფაქტორიც, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი შესაძლებელია ერთდროულად იყოს როგორც მოვალის, ისე თავად კრედიტორის ბრალეული ქმედების შედეგი. ამ შემთხვევაში სახეზეა შერეული ბრალის სამართლებრივი კატეგორია, როდესაც ბრალეულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.¹⁸² სსკ-ის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწველი.

ზიანის ანაზღაურების კიდევ ერთ წინაპირობას წარმოადგენს ვადის დანესება. თუ მოვალე დაარღვევს ვალდებულებას, კრედიტორმა, სსკ-ის 394-ე II მუხლის მიხედვით, მოვალეს უნდა განუსაზღვროს ვადა ვალდებულების შესრულების ან ნაკლის აღმოფხვრისათვის. იმ შემთხვევაში თუ მოვალე აღნიშნულ ვადაში არ განახორციელებს შესრულებას, კრედიტორი უფლებამოსილი იქნება შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ამასთან, დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება, ან როცა არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას (სსკ-ის 394 III მუხლი).

ზიანის ანაზღაურების კუთხით საინტერესოა სსკ-ის 395 მუხლი, საიდანაც ვიგებთ, რომ მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისთვის, თუ, რა თქმა უნდა, ვალდებულების არსიდან სხვა, რამ არ გამომდინარეობს. მნიშვნელოვანია, აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილიც, რომლის თანახმადაც დაუშვებელია განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას წინასწარი შეთანხმებით მხარეების გათავისუფლება.

¹⁸² ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 195, იხ. http://www.library.court.ge/upload/natia_chitashvili.pdf (17.06.2019)

2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კონვენციის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ) ქვეპუნქტისა და 74-ე მუხლის შესაბამისად.

კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წინაპირობას არ წარმოადგენს მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევა¹⁸³. მოვალე მხოლოდ მაშინ არ აგებს პასუხს ვალდებულების დარღვევისათვის, როდესაც ეს დარღვევა გამონვეულია მისი ძალაუფლების მიღმა მდებარე ფაქტორით, რომელსაც ის ხელშეკრულების დადებისას ვერ გაითვალისწინებდა. შეპირებულის ნაცვლად სხვა ფერის მაგილების მიწოდება არ განეკუთვნება ამგვარ შემთხვევას.

ზიანის ანაზღაურებით მოვალემ კრედიტორი უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ის იქნებოდა ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ეს ვალდებულება მოიცავს ასევე მიუღებელ შემოსავალსაც¹⁸⁴. „დიდი ზიანის“ ანაზღაურებას, როდესაც კრედიტორი უარს ამბობს შესრულებაზე (ან აბრუნებს მიღებულ შესრულებას) და მის მთლიან ღირებულებას ითხოვს როგორც ზიანის ანაზღაურებას, კონვენცია არ იცნობს, რადგან ეს იქნებოდა იგივე, რაც ხელშეკრულებიდან გასვლა, ხელშეკრულების არსებითი დარღვევის წინაპირობის გვერდის ავლით¹⁸⁵.

ამის გარდა, ზიანის ანაზღაურების მოცულობის შემოსაზღვრის კრიტერიუმს წარმოადგენს ზიანის წინასწარგათვლადობა მოვალისათვის. ვაჭარი, რომელიც პროდუქტს აწვდის მეორე ვაჭარს უნდა ითვალისწინებდეს, რომ ეს უკანასკნელი გეგმავს ამ პროდუქციის მომგებიანად გადაყიდვას და ნაკლოვანი ნივთის მიწოდებით ეს მიზანი შეიძლება ჩაეშალოს, რის გამოც ნაკლოვანი პროდუქციის მიწოდების შემთხვევაში მყიდველის მიერ მოგების ხელიდან გაშვება მისთვის საუარაუდოა. 20%-იანი დანაკარგები, რაც გამონვეულია ნაკლოვანი ნივთის გადაყიდვით, ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს მოვალისათვის წინასწარგათვლად ხარჯებს.

¹⁸³ FERRARI/KIENINGER/MANKOWSKI/SAENGER, Art. 79 CISG Rn. 13.

¹⁸⁴ FERRARI/KIENINGER/MANKOWSKI/SAENGER, Art. 74 CISG Rn. 2.

¹⁸⁵ COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 389.

VIII თავი

დასკვნა

ქართული სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მაგრამ რა ხდება მაშინ როდესაც ვალდებულება ირღვევა? რა სამართლებრივი ბერკეტები შეიძლება ჰქონდეთ ამ დროს დაინტერესებულ მხარეებს? რომელია მათგან უპირატესად გამოსაყენებელი? შესაძლებელია თუ არა ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნის წაყენება ვალდებულების დამრღვევი პირის მიმართ? მოცემულ კითხვებზე პასუხი, მყიდველის ინტერესებიდან გამომდინარე, გაცემულია, სწორედ, ზემოააღნიშნულ ნაშრომში.

ვალდებულების შესრულება წარმოადგენს მყიდველის პირველად მოთხოვნას. ვალდებულების დარღვევა კი იწვევს მეორადი მოთხოვნის წარმოშობას. როგორც ქართულ, ასევე გერმანულ და საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე არსებობს შემდეგი ოთხი სახის მეორადი მოთხოვნის უფლება: დამატებითი შესრულება, ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება და ზიანის ანაზღაურება.

მათგან პირველ რიგში გამოსაყენებელი მოთხოვნაა დამატებითი შესრულება, რომლის დროსაც მხარეს განესაზღვრება ვადა დამატებითი შესრულებისთვის, რაც თავის მხრივ შეიძლება გამოიხატოს ნივთის ნაკლის გამოსწორებაში ან მისი ახლით შეცვლაში. ამ დროს არ არის აუცილებელი ბრალის არსებობა, განსხვავებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისა. შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლების გამოყენება პირველ რიგში მყიდველისთვის არის მიზანშეწონილი,¹⁸⁶ ვინაიდან ამით მას ეძლევა საშუალება მიიღოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელი, რაც, რასაკვირველია, ვალდებულების შეუსრულებლობით გამონწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფრო მისაღები უნდა იყოს.

იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის წაყენების გამომრიცხველი წინაპირობები. მყიდველს შეუძლია გამოიყენოს ხელშეკრულებიდან გასვლის ან ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლება. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც დარღვევა არის არსებითი, ამ დროს მხარეებს უბრუნდებათ შესრულებული ნაწილი, ე.ი. ხდება რესტიტუცია, თუმცა ყველა სამართლებრივ სისტემაში არაა აუცილებელი დარღვევა იყოს არსებითი. მაგ. ვენის კონვენცია და ქართული რეგულაციები მიუთითებს არსებითი დარღვევის არსებობის აუცილებლობაზე, ინგლისური სამართლის მიხედვით კი მსგავსი

¹⁸⁶ Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract, A Comparative Treatise*, Oxford and Portland, Oregon, 2006, 399

დარღვევის არსებობა არ არის საჭირო, იმისათვის რომ მყიდველს წარმოეშვას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.¹⁸⁷

რაც შეეხება, ფასის შემცირების მეორად მოთხოვნას. ქართულ სამართალში აღნიშნული საშუალება სახეზეა მაშინ, როდესაც ვალდებულება გამყიდველის მხრიდან არაჯეროვნად არის შესრულებული და დარჩენილი ნაწილის მიმართ არ აქვს ინტერესი დაკარგული მყიდველს. ფასის შემცირება დამატებითი შესრულების ალტერნატიული მეორადი მოთხოვნის უფლებად შესაძლებელია იქნეს განმარტებული. ამასთან, ფასის შემცირების განხილვა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად გაუმართლებელია, რადგან იგი დამატებითი შესრულებისგან განსხვავებით, ვერ უზრუნველყოფს კრედიტორისთვის თავდაპირველი შესრულების ინტერესის რეალიზებას. ამდენად, ფასის შემცირების გამოყენება შესაბამისი წინაპირობების არსებობისას კრედიტორის ნება-სურვილზე დამოკიდებული.¹⁸⁸

ზემოაღნიშნულიდან, გამომდინარე, იერარქიის სათავეში შეგვიძლია მოვაქციოთ დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება. შემდეგ უკვე მყიდველზე დამოკიდებული რომელ მეორად მოთხოვნას აირჩევს ფასის შემცირებას თუ ხელშეკრულებიდან გასვლას. აქ უშუალოდ გასათვალისწინებელია მისი ინტერესები. ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლების გამოყენება შესაძლებელია დანარჩენ სამ მეორად მოთხოვნების უფლებასთან ერთად.

ნაშრომის ფარგლებში გამოთქმული ფაქტები ძირითადად ეფუძნებოდა უნიფიცირებულ, ანგლოამერიკულ და კონტინენტური სამართლის ქვეყნების საკანონმდებლო აქტების კვლევასა და შედარებას. მაგალითად, ვენის კონვენციასთან მიმართებით განვიხილეთ „უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპების“ (უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპები), „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების“ (ევროპული პრინციპები) შესაბამისი ნორმები. მოცემული აქტები საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც ისინი „რბილი სამართლის“ კოდიფიკაციებს განეკუთვნება და გარკვეულწილად ავსებენ ვენის კონვენციის მუხლების შინაარსს.

¹⁸⁷ Rowan S., Remedies for Breach of contract: A comparative analysis of the Protection of Performance, Oxford University Press, 2012, 71-73

¹⁸⁸ *Looschelders*, Schuldrecht Allgemeiner Teil, 9. Aufl., München 2011, 187

ბიბლიოგრაფია:

1. გამოყენებული საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
ნორმატიული აქტების შესახებ საქართველო კანონი
გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
Sale of goods act, Legislation of United Kingdom, 1982.

უნიფიცირებული სამართლებრივი აქტები:

Principles of European Contract Law (PECL) – Parts I and II - Revised 1998, Part III – 2002.
UNIDROIT Contract Principles/UPICC – UNIDROIT Principles of International Commercial Contracts,
International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT), Rome, 2016

2. გამოყენებული ლიტერატურა

2.1. ქართული ლიტერატურა

ბაჩიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008,

ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი ჰ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009.

მაჭარაძე მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008.

ნაჭყებია ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), GIZ, 2014.

ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, უკრნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008.

ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, უურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2004,

ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში.

ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 501.

ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, თბილისი, 2006

თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006.

ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 206, იხ. http://www.library.court.ge/upload/natia_chitashvili.pdf (17.06.2019).

გიორგი წამალაიძე- არაჯეროვანი შესრულება სამოქალაქო კოდექსის და საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2018.

ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2001.

ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997

შენგელია ე., ყანდაშვილი ი., საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციის მოქმედება საქართველოში, მართლმსაჯულება N3, 2008.

მესხიშვილი მ., ნივთობივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში.

კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 336

ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999.

2.2. უცხოენოვანი ლიტერატურა:

Teija Poikela, Conformity of Goods in the 1980 United Nations Convention of Contracts for the International Sale of Goods, Nordic Journal of Commercial Law issue 2003

Michael Bridge, A Law for International Sale of Goods, 37 Hong Kong L.J. 17 ,2007

Bridge M.G., The International Sale of Goods third edition, Oxford, Oxford University press, 2013.

Bruner c.,Dornis T., Ernst W., Gsell B., Hurni C., Koller H., Lauko R., Magnus U., Melis W., Schnyder A.K., Schonle H., Siehr K., Straub R.M., Weber R.H., Kommentar zum UN-Kaufrecht ubereinkommen der Vereinten Nationen uber Vertrage uber den Internationalen Warenkauf (CISG), Springer, 2010.

Ferrari F., The CISG and its Impact on National Legal Systems, sellier, European law publishers GmbH, Munich,2008.

Schlechtriem P., Butler P., UN Law on International Sales, The UN Convention on the International Sale of Goods, Berlin-Heidelberg, 2009.

Richard E. Speidel, Buyer's Remedies of Rejection and Cancellation under the UCC and the Convention, The Journal of Contract Law (1993)
<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/speidel.html>

Huber P., Mullis A., The CISG A new textbook for students and practitioners, 2007.

Felemegas J., An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law, Cambridge, 2007.

COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung.

Ferrari/Kieninger/Mankowski/Saenger, Art. 74 CISG Rn. 2.

Looschelders, Schuldrecht Allgemeiner Teil, 9. Aufl., München 2011, 301.

Pilar Perales Viscasillas, Contract Conclusion under CISG, 16 J.L. & Com. 315 (1997)

Heinrichs, in Palandt, 68. Aufl. 2009, Vorbem. § 249 Rn. 4.

Zimmermann R., The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives, Oxford, 2012,

J. von Staudingers, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einföhrungsgesetz und Nebengesetzen Eckpfeiler des Zivilrechts, Berlin, 2008.

Ondrej Vondracek, Selling Goods across the Channel: Comparative Aspects of an International Sales Contract, 8 Common L. Rev. 9 (2007)

Michael Bridge, A Law for International Sale of Goods, 37 Hong Kong L.J. 17 (2007)

Jelena Vilus, Quality Control in the International Sale of Goods, 1977 Unif. L. Rev. o.s. 2 (1977)

Inigo de la Maza Gazmuri; Alvaro Vidal Olivares; Antonio Manuel Morales Moreno, Breach of Contract, Lack of Conformity and Damages. Comment on a Supreme Court Decision of October 31, 2012, 41 Revista Chilena de Derecho 1155 (2014)

H. Lalla Shishkevish, The Convention on Contracts for the International Sale of Goods and the General Conditions for the Sale of Goods, 12 Ga. J. Int'l & Comp. L. 451 (1982)

Hilary Cartwright, The Law of Obligations in England and Germany, 13 Int'l & Comp. L.Q. 1316 (1964)

Gregory M. Duhl, International Sale of Goods, 64 Bus. Law. 1281 (2009)

Gilles Cuniberti, Is the CISG Benefiting Anybody, 39 Vand. J. Transnat'l L. 1511 (2006)

Gert Reinhart, Development of a Law for the International Sale of Goods, 14 Cumb. L. Rev. 89 (1983)

Franco Ferrari, Uniform Interpretation of the 1980 Uniform Sales Law, 24 Ga. J. Int'l & Comp. L. 183(1994)

Franco Ferrari, Foreword, 5 Unif. L. Rev. n.s. 11(2000)

Franco Ferrari, Applying the CISG in a Truly Uniform Manner: Tribunale di Vigevano (Italy), 12 July 2000, 6 Unif. L. Rev. n.s. 203 (2001)

Eduardo Moises Penalver, The Persistent Problem of Obligation in International Law, 36 Stan. J. Int'l L. 271 (2000)

David Hoffman, Is the CISG Irrelevant, 2016 Jotwell: J.Things We Like [407] (2016)

Piliounis P.A., The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? Pace Int'l L. Rev., Vol. 12, 2000.

Posner R.A., Sykes A. O., Efficient Breach of International Law: Optimal Remedies, "Legalized Noncompliance" and Related Issues, Mich. L. Rev., Vol. 110, No. 2, 2011

Rowan S., Remedies for Breach of Contract (A Comparative Analysis of the Protection of Performance), Oxford University Press, New York, 2012.

Schmidt-Kessel M. (Osnabrück), Remedies for Breach of Contract in European Private Law - Principles of European Contract Law, Acquis Communautaire and Common und Frame of Reference, in Schulze R. (ed.), New Features in Contract Law, Sellier, European Law Publishers, München, 2007.

Zharsky A.V., Correlation of the Legal Defence Remedies for the Breach of International Sales Contract, 10 Law and Democracy: Collected Scientific Articles, 1999.

chlechtriem P., Basic Structures and General Concepts of the CISG as Models for a Harmonisation of the Law of Obligations, Juridica X/2005.

გადაწყვეტილებები:

Greece 2009 Decision 2282/2009 of the Multi-Member Court of First Instance of Athens, <http://cisgw3.law.pace.edu/cases/092282gr.html> (23.06.2019)

Austria 12 February 1998 Supreme Court (*Umbrella case*) იბ.
<http://cisgw3.law.pace.edu/cases/980212a3.html> (23.06.2019)

Austria 11 March 1999 Supreme Court (Frames for mountain bikes case) იბ.
<http://cisgw3.law.pace.edu/cases/990311a3.html> (23.06.2019)

Austria 28 July 1999 Supreme Court (*Pipe case*) იბ.
<http://cisgw3.law.pace.edu/cases/990728a3.html> (23.06.2019)

Austria 13 April 2000 Supreme Court (*Machines case*) იბ.
<http://cisgw3.law.pace.edu/cases/000413a3.html>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11
ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-774-723-2017

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10
ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: N ას-660-660-2018

